ახალი განათლება

2013 წელი, 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№32 (626) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

დღეს გადადგმული ნაბიჯები განაპირობებს, თუ ვინ იქნები ხვალ

გვერდი 4–5

გამოცდები

მოსწავლეთა საატესტატო გამოცდებით დასრულდა 2013 წლის „საგამოცდო სეზონი“, რომლის შედეგებიც გარკვეულწილად განაპირობებს მომავალში შესაძლო ცვლილებებს სხვადასხვა სეგმენტში. ამჯერად საატესტატო გამოცდების პირველი ეტაპის შედეგებისა და მასწავლებელთა განვითარების ახალი სქემის შესახებ გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი

გვერდი 2

კულტურული მემკვიდრეობა

ისევ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

გვერდი 3

სადისკუსიო კლუბი

„გადადგით არასტანდარტული და გაბედული ნაბიჯები განათლების სისტემის დაფინანსების ხარისხობრივად გასაზრდელად. დააფინანსეთ ფიქრი, რომელიც სკოლას უკეთესს გახდის.“

გია მურღულია

გვერდი 5

საატესტატო გამოცდა

გეოგრაფიისა და ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 6–7

სიახლე

სერიიდან „ქართველი მწერლები“

ვახტანგ ჭელიძე, VII – 12 ლ.

კონსტანტინე გამსახურდია, IX–X – 16 ლ.

საიუბილეო გამოფენა

ორი საუკუნის შემდეგ...

გვერდი 8–9

გამოცდები

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი
მაია მიმინოშვილი

– როგორ ჩაიარა საატესტატო გამოცდებმა?

– გამოცდებმა ძალიან წყნარად ჩაიარა, არანაირი მღელვარება არ მოჰყოლია. ალბათ იმიტომ, რომ ეს იყო პირველი ცდა და წინ გვაქვს კიდევ გაზაფხულის გამოცდები. მოსწავლეებს, რომლებმაც ვერ გადალახეს ბარიერი, შესაძლებლობა აქვთ გაზაფხულზე განმეორებით სცადონ ბედი. ჯერჯერობით, არაფერი გადაწყვეტილი არ არის, ატესტატის გაცემასთან დაკავშირებით. გადამწყვეტი იქნება გამოცდები სასწავლო წლის ბოლოს და ვნახოთ, რა შედეგები გვექნება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის, რადგან მოსწავლეებმა უკვე იციან, რომელ საგანში სჭირდებათ დამატებითი ძალისხმევა.

მათი რაოდენობა, ვინც ვერ მოახერხა ბარიერის გადალახვა, ჩემი აზრით, ძალიან დიდი არ არის, ყველაზე მეტი იყო ფიზიკაში – 15.5%, დანარჩენ საგნებში – 4%-დან 8%-მდე მერყეობს. მიღებული ქულები, მეასედის სიზუსტით, მოსწავლის სასარგებლოდ მრგვალდება.

გაზაფხულიდან საატესტატო გამოცდები ჩვეულ რიტმში ჩაჯდება – მეთერთმეტეკლასელები ამ ოთხ გამოცდას ჩააბარებენ, მეთორმეტეკლასელები – დანარჩენ ოთხს და ვნახოთ, რა იქნება. ნამდვილად უკეთეს შედეგს ველოდები.

ეს გამოცდები მოსწავლეებისთვის ერთგვარი შეთავაზება იყო, შემოდგომაზე ჩაებარებინათ ოთხი გამოცდა და გაზაფხულზე აღარ ექნებოდათ ჩასაბარებელი. მოსწავლეთა უმრავლესობამ ეს მოახერხა, საერთო ჯამი რომ ავიღოთ, ერთ საგანში მაინც ვინც ვერ გადალახა ბარიერი, 20%-ს არ სცილდება, შესაბამისად დანარჩენმა 80%-მა მოითავა პირველი ოთხი საგანი და გაზაფხულზე მხოლოდ ოთხი ექნება ჩასაბარებელი. იმ 20%-იდანაც უმეტესობას თითო-თითო საგანი ექნება დამატებით ჩასაბარებელი.

– მიმდინარეობს მუშაობა პედაგოგთა პროფესიული განვითარების სქემაზე. რას გულისხმობს ეს სქემა?

– განათლების სამინისტრო აქტიურად მუშაობს პროფესიული განვითარების სქემასთან დაკავშირებით და, ბუნებრივია, ჩვენი ორგანიზაცია ამ სამუშაოში აქტიურად მონაწილეობს. ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია და იმთავითვე, როცა პედაგოგთა სერტიფიცირების პროცესი დავიწყეთ, ვამბობდით, რომ ასე განყენებულად საგამოცდო სისტემა არ არის სწორი და რეალურად იმ შედეგის მომტანი, რასაც ველოდით. მთავარი მიზანი ხომ მასწავლებლის პროფესიული ზრდაა, ამისთვის კი პროფესიული განვითარების გარკვეული სქემა უნდა არსებობდეს და, ბუნებრივია, ამ სქემას უნდა მოერგოს შემდეგ შეფასებისა და შემოწმების კომპეტენციები, ანუ შემოწმების სისტემა. საერთოდ, ეს პროცესი უკუღმა დაიწყო – არ შეიძლება მხოლოდ საგამოცდო სისტემით რაიმე მნიშვნელოვან შედეგზე გახვიდე. ახლა ეს ყველაფერი გასწორდება. ბუნებრივია, სქემა, რომელსაც განათლების სამინისტრო შეიმუშავებს, მისაღები იქნება, პირველ რიგში, ჩვენი პედაგოგებისთვის. ამის საფუძველს მაძლევს სერიოზული მიდგომა – შეიქმნას მართლაც ეფექტური სქემა, სადაც ნებისმიერი პედაგოგი თავის თავს დაინახავს და მისთვის ნათელი და მკაფიო იქნება, როგორ და რა უნდა გაიაროს იმისათვის, რომ განივითაროს კომპეტენციები, პროფესიული ზრდის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ხელფასზეც აისახება. ეს თემა აღარ იქნება ისეთი გაუგებარი და სუმბურული, როგორიც აქამდე იყო – 1000-ლარიანი პედაგოგები, სერტიფიცირებულები, არასერტიფიცირებულები და ა.შ.

რა თქმა უნდა, ამ თემაზე საუბრის დაწყება განათლების სამინისტროს პრეროგატივაა. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში, ამ საკითხის აქტიური განხილვა დაიწყება.

– ვისაც უკვე ჩაბარებული აქვს სასერტიფიკაციო გამოცდები, მიღწეული შედეგები ძალაში იქნება?

– ბუნებრივია, აქ საუბარია იმაზე, რომ პედაგოგს მიეცეს შესაძლებლობა დააგროვოს კრედიტები. ეს სქემა კრედიტების სისტემაზე იქნება აგებული. პედაგოგი ნათლად უნდა ხედავდეს, როგორ იზომება მისი თითოეული აქტივობა, როგორ ხდება მისი შედეგების კონვერტაცია კრედიტებში. საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა, ბუნებრივია, კრედიტების გარკვეული რაოდენობის დაგროვების შედეგად უნდა განხორციელდეს. მაგალითად, პედაგოგმა ჩააბარა ერთი გამოცდა, რა თქმა უნდა, ეს ჩაეთვლება და შესაბამისი კრედიტებით გაიზომება; ჩააბარა ორი გამოცდა – ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მას მეტი კრედიტი მიენიჭება. მომავალშიც, ვინც ამ გამოცდების ჩაბარების გადაწყვეტილებას მიიღებს, შესაბამის კრედიტებს დააგროვებს.

რაც ყველაზე მთავარია და მნიშვნელოვანი, შეფასების ინსტრუმენტების თვალსაზრისით (ჩვენ დიდი ხანია ამაზე ვსაუბრობთ), სერტიფიცირების პროცესს ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი აკლია – პედაგოგის შეფასება კლასში, მისი პრაქტიკული საქმიანობა. ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ აქტიურად, რომ თვითონ ამ შეფასების ინსტრუმენტები სრულვყოთ. ახალი სქემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და კომპონენტი სწორედ პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება იქნება. ალბათ, ეს გაცილებით მისაღები იქნება ჩვენი პედაგოგებისთვის, ბევრია დარწმუნებული საკუთარ თავში, რომ ძალიან კარგი პრაქტიკოსი პედაგოგია. მეც დიდი იმედი მაქვს, რომ პედაგოგთა დიდი რაოდენობა, ამ კუთხით, ნამდვილად დაადასტურებს თავის კომპეტენციას. ერთია თეორიული ცოდნა, მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის – პრაქტიკაზე როგორია პედაგოგი და რამდენად იყენებს გამოცდაზე ნაჩვენებ თეორიულ ცოდნას იმისთვის, რომ უზრუნველყოს ხარისხიანი სასწავლო პროცესი, რომლის შედეგადაც მოსწავლეების მიღწევებიც გაუმჯობესდება.

ასე რომ, პედაგოგებისთვისაც, ალბათ, სქემის ეს ნაწილი მისაღები და მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენი მთავარი და ძირითადი ამოცანა, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, არის ის, რომ მართლაც ეფექტური სისტემა შევქმნათ, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი, ბუნებრივია, პროფესიული განვითარების სქემაში ჩაჯდება.

– 2014 წელს სასერტიფიკაციო გამოცდები ჩვეულ რეჟიმში ჩატარდება?

– რა თქმა უნდა, ჩატარდება. თუ პედაგოგს გამოცდა არ აქვს ჩაბარებული, არსებული კანონმდებლობით, მოგეხსენებათ, რომ 2014 წელი ბოლო ვადაა, როცა ყველამ უნდა ჩააბაროს გამოცდა. ეს წესი თავიდანვე განწირული იყო იმისთვის, რომ შეცვლილიყო, რადგან, ბუნებრივია, პედაგოგი, რომელმაც ვერ ჩააბარა ან არ გავიდა გამოცდაზე, სკოლას არ დატოვებს. მთავარი და მნიშვნელოვანია, ისევ ვიმეორებ, პედაგოგმა ნათლად და მკაფიოდ დაინახოს საკუთარი თავი ამ სქემაში და ნათელი წარმოდგენა შეექმნას იმის თაობაზე, თვითონ როგორ დაგეგმოს გზა, რომლის მეშვეობითაც საფეხურიდან საფეხურზე გადავა ან შეინარჩუნებს იმ ადგილს, სადაც არის.

ასე რომ, დიდი იმედი მაქვს, სამინისტრო ძალიან მალე დაიწყებს ამაზე საჯარო საუბარს და ყველანი დავინახავთ, კონკრეტულად რა როლი ენიჭება თვითონ ამ გამოცდებს, ზოგადად შეფასების სისტემას და რა უნდა გააკეთოს პედაგოგმა, კრედიტები რომ დაგროვოს არა მხოლოდ კრედიტების დაგროვებისთვის, არამედ პროფესიული ზრდისთვის და შემდგომი წინსვლისთვის.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

შპს უმაღლესი სასწავლებელი „ორიენტირი“

2013 წლის 1 ნოემბრიდან აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად – პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი

ა) ეკონომიკის და ბიზნესის მართვის ფაკულტეტი:

პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) – 2 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი) –1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (საბუღალტრო აღრიცხვა) –1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) –1 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) –1 საშტატო ერთეული.
ასოცირებული პროფესორი – ეკონომიკა (მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ეკონომიკა (ეკონომიკური პოლიტიკა) –1 საშტატო ერთეული.

ბ) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

პროფესორი – სოციალური მეცნიერებანი (საერთაშორისო ურთიერთობები) –1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – სოციალური მეცნიერებანი (საერთაშორისო ურთიერთობები) – 4 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – სოციალური მეცნიერებანი (პოლიტიკური მეცნიერებანი) – 2 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – სოციალური მეცნიერებანი (სოციოლოგია) – 2 საშტატო ერთეული.

გ) ჯანდაცვის ფაკულტეტი:

პროფესორი – ჯანდაცვა (ფარმაცია) – 1 საშტატო ერთეული;
პროფესორი – ჯანდაცვა (მედიცინა) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ჯანდაცვა (ფარმაცია) – 4 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ჯანდაცვა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა) – 2 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ჯანდაცვა (მედიცინა) – 4 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – ჯანდაცვა (ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) – 3 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – ჯანდაცვა (ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) 2 საშტატო ერთეული.

საუნივერსიტეტო მოდული:

პროფესორი (საქართველოს ისტორია) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი (ინფორმაციული ტექნოლოგიები) – 2 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი (ინგლისური ენა) – 2 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი (ინგლისური ენა) – 1 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი (გერმანული ენა) – 2 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი (გერმანული ენა) – 1 საშტატო ერთეული.

1. კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1. პროფესორად აირჩევა 75 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აგრეთვე:
ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;
ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
გ) ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას.

1.2. ასოცირებულ პროფესორად აირჩევა 65 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აგრეთვე:
ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;
ბ) აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
გ) ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას.

1.3. ასისტენტ-პროფესორად აირჩევა 60 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აგრეთვე:
ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;
ბ) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას ან აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:
ა) განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ნოტარიულად დამოწმებული აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომის/დიპლომების ასლები;
ე) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან პედაგოგიური სტაჟის დამადასტურებელი ცნობები;
ვ) ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას (არ არის სავალდებულო ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად);
ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას (მხოლოდ ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის კონკურსანტებისთვის);
თ) ბოლო ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული შრომებისა და სტატიების სია, ყველა ნაშრომის თავფურცელის, სარჩევისა და სტატიის ამონარიდის დართვით (არ არის სავალდებულო ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად).

3. ღია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების მიღება განხორციელდეს მისამართზე: თბილისი, ც. დადიანის ქ. N28, მე-2 სართული, ოთახი N12, 2013 წლის 2 დეკემბრიდან 2013 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით, ყოველდღე, უქმე და დასვენების დღეების გარდა, 10:00 საათიდან 17.00 საათამდე.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2013 წლის 25 დეკემბერს.

საკონტაქტო პირის ტელ.: 599 46 86 46, ელფოსტა: orientiri@yahoo.com

ისევ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ



2012 წლის ოქტომბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან ერთად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით, ჩაატარა კონკურსი საქართველოს სკოლების უფროსკლასელთათვის – „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. კონკურსი მიზნად ისახავდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტების მოძიებასა და წარმოჩენას, მათი დაცვის საქმეში საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ჩართვას. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ასზე მეტმა საჯარო და კერძო სკოლამ, განხილვის შედეგად გამოვლინდა ათი სკოლის ოცი საუკეთესო თემა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“ და სასაჩუქრე წიგნების კომპლექტით.

მიმდინარე წლის ნოემბერში სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ კვლავ გეგმავენ ანალოგიური კონკურსის ჩატარებას თემაზე – „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“.

გვინდა ორიოდ სიტყვით შეგახსენოთ, რა არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და რას გულისხმობს იუნესკოს კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. 2003 წელს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (unesco), გენერალური კონფერენციის 32-ე სესიაზე, მიიღო „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ შესახებ კონვენცია, რომლის მიზანია, ცოცხალი ტრადიციის გადარჩენის გზით, მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება.

კონვენციის მიღებას წინ უძღოდა, 2001 წლის 18 მაისს, მსოფლიოს 19 უმნიშვნელოვანესი ნიმუშის, მათ შორის ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის, გამოცხადება კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელ შედევრად.

2007 წელს საქართველო მიუერთდა აღნიშნულ კონვენციას, რითაც აიღო ვალდებულება – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით უზრუნველყოს მისი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, კვლევა, შენახვა, დაცვა, პოპულარიზაცია, ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით ახალგაზრდა თაობისათვის გადაცემა. 2011 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღნიშნული სფერო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მმართველობას დაექვემდებარა, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები დარგის განვითარებისათვის: შემუშავდა სააღრიცხვო სისტემა; ჩატარდა პილოტური ინვენტარიზაციები; ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა რამდენიმე მნიშვნელოვან ტრადიციას („დედა ენა – საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი“, „ცეკვა „ხორუმი“, „მესხური ტენილი ყველის დამზადების ტექნოლოგია“, „საბავშვო ლიტერატურის პერიოდიკის ტრადიცია – ჟურნალი „დილა“, „ლაღიძის წყლები“ და სხვ.); ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები რაიონების კულტურისა და განათლების სამსახურების თანამშრომლებთან, სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებთან; მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კანონის“ შესაქმნელად და სხვა მრავალი.

აღნიშნული ქმედებების პარალელურად, 2012 წლის მარტში, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით და სხვა სახელმწიფო უწყებების მხარდაჭერით, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში წარადგინა „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“. იუნესკო ნომინაციის შესახებ გადაწყვეტილებას წელს, დეკემბერში მიიღებს. იმედი გვაქვს, ქართული ნომინაცია ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

რა არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა?

კულტურა, როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანებს მათივე შექმნილი ღირებულებების საშუალებით აერთიანებს. საზოგადოებაში ასეთი ერთობის განსხვავებული ფორმებია დამკვიდრებული. მათ შორის: თემი, სოფელი, ქუჩა, ეზო, ოჯახი, დასახლება, ქალაქი, ქალაქის გარეუბანი და სხვ. როდესაც თანაარსებობს ადამიანთა ჯგუფი, ცხოვრობს გარკვეულ ტერიტორიაზე და იზიარებს სხვადასხვა სახის სოციალურ-კულტურულ პრობლემებს, ეწევა რაიმე სამეურნეო ან სხვა საქმიანობას, ერთად ატარებს თავისუფალ დროს, ურთიერთზემოქმედებს, ბუნებრივად ყალიბდება იდენტური, მსოფლმხედველობითი ორიენტირები, ყოფითი და სულიერი კულტურული ფასეულობები, ტრადიციები.

ცნება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, მატერიალურისგან განსხვავებით, განეკუთვნება ადამიანის სულიერი მოღვაწეობის სფეროს და მოიცავს ასეთ მოღვაწეობას და მის შედეგად შექმნილ არტეფაქტებს, საკუთრივ მოღვაწეობის ტრადიციას და მეთოდოლოგიას.

კონვენციის თანახმად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არის საზოგადოების, ცალკეული ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები – ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროებია:

– ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები (ენა, დიალექტი, საუბრის სახეობა, ლეგენდა, იგავი, ზეპირი გადმოცემა, თქმულება, ზღაპარი, ლექსი, შაირი, შელოცვა, დატირება, ეპიტაფია, ზეპირსიტყვიერებასთან დაკავშირებული სხვა კულტურული მემკვიდრეობა და ა.შ.);

– საშემსრულებლო ხელოვნება (სასცენო ხელოვნება, პანტომიმა, ქორეოგრაფია, ცეკვა, სიმღერა, საგალობელი, საკრავიერი მუსიკა, სახიობა, საშემსრულებლო ხელოვნებასთან დაკავშირებული სხვა ნიმუშები და ა.შ.);

– საზოგადოებრივი პრაქტიკები (ყოფითი ტრადიცია, თემის დამახასიათებელი ცხოვრების წესი, თემის ტრადიციული კანონები, მისალმების და დამშვიდობების ფორმები, რელიგიური ტრადიციები, რიტუალები: დაბადება, გარდაცვალება, ძეობა, ინიციაცია, ქორწინება და ა.შ.; კარნავალი, თამაშობა, დღეობა, დღესასწაული; გასტრონომია, ნაციონალური კოსტიუმი და მისი გამოყენების ტრადიცია, ტექსტილის დამუშავების ტექნოლოგია, ვარცხნილობა, სამკაული, ტრადიციული მინათსარგებლობის ფორმები, სპირიტუალური ადგილები და ა.შ.);

– გარე სამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება (ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გამოყენება, ხის, ყავრის დამზადება-დამუშავება, მონადირეობა-მეთევზეობის ადათ-წესები, სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები, ხალხური მედიცინა, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ადათ-წესები და ა.შ.);

– ხელოსნობის დარგები და ტექნიკები (ხალხური რეწვა: თექა, მეტალი, თიხა, ფარდაგი, ოქრომჭედლობა, მინანქარი, ხატწერა, კალიგრაფია, ქარგვა, კერვა, ქვის დამუშავება, ინსტრუმენტების დამზადების ტექნოლოგიები და ა.შ).

არამატერიალური კულტურა დაუნჯებულია ხალხში ადათ-წესების, ჩვეულებების, ზეპირი გადმოცემის, სიმღერის, თამაშობისა და სხვა სახით; დოკუმენტირებულია კერძო და სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებში, სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებში, სასწავლო დაწესებულებებში. თაობიდან თაობას გადაცემული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა გამუდმებით, ხელახლა იქმნება. თემების, ჯგუფების მიერ გარემო პირობების, ბუნების ზემოქმედებისა და მათი ისტორიის შესაბამისად, აყალიბებს იდენტობისა და მემკვიდრეობითობის გრძნობას, ხელს უწყობს კულტურის მრავალფეროვნებასა და ადამიანთა შემოქმედებას. კონვენციის თანახმად, ასეთი მემკვიდრეობის დაცვისათვის საერთაშორისოდ აღიარებული მიზნებია: გაერთიანებების, ჯგუფებისა და ცალკეული პირების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა; მისი მნიშვნელობის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ურთიერთაღიარება;

არამატერიალური კულტურა ადამიანისგან განყენებულად, შემოქმედის გარეშე არ არსებობს, ამიტომაც მის მატარებელად ითვლება ერი, საზოგადოება, თემი, ადამიანთა ჯგუფი, ცალკეული პიროვნება. **არამატერიალური კულტურა მისი მატარებლისათვის წარმოადგენს იდენტობის განმსაზღვრელს**!

ამასთან, არამატერიალურ კულტურას რამდენიმე სპეციფიკური მახასიათებელი აქვს: ის განახლებადია, ზეპირი ფორმით (ოჯახში, თემში, საზოგადოებაში, უშუალოდ) გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველ ახალ ჯერზე კვლავწარმოებადია და შემოქმედებითია.

კონვენცია კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევს: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოხატვასთან დაკავშირებით კონტექსტისა და ბუნებრივობის (ავთენტურობის) მოშლას; პროცესში ჩართული ან განსხვავებული კულტურის თემების, ჯგუფების, ინდივიდების ღირსების შელახვას; რაიმე ნიშნით, მათ შორის: პოლიტიკურ, სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ ან გენდერულ დისკრიმინაციას; თემების, ჯგუფების და ინდივიდების ცოდნისა და უნარების მითვისებისა და შეურაცხყოფის ხელშეწყობას; ისეთ კომერციულ აქტივობას, რომელიც აუფასურებს ელემენტის მნიშვნელობას ან გადააქცევს მას ატრაქციონად.

საქართველო ამაყობს თავისი კულტურული მემკვიდრეობით, რომლის ერთ უმდიდრეს და მრავალფეროვან ნაწილს სწორედ არამატერიალური კულტურა წარმოადგენს.

მისი გაფრთხილება და მომავალი თაობისათვის გადაცემა ჩვენი საერთო საქმეა!

მაკა თაძთაძიშვილი



ქართველი სტუდენტები უცხოეთში

დღეს გადადგმული ნაბიჯები განაპირობებს, თუ ვინ იქნები ხვალ

რუბრიკის სტუმარია
ზურაბ მურაკაშვილი

– ზურაბ, შენ შესახებ საუბარი მოსწავლეობის პერიოდიდან დავიწყოთ. ვიცი, რომ საკმაოდ წარმატებული და აქტიური მოსწავლე იყავი

– თავდაპირველად მსურს მადლობა მოგახსენოთ ჩემდამი გამოჩენილი ინტერესისთვის. ვერცხლის მედალზე დავამთავრე ქალაქ გურჯაანის პირველი საჯარო სკოლა. სწავლის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში, ვარ კონკურსის „საუკეთესო მთარგმნელი 2006“ რუსული და ინგლისური სექციების გამარჯვებული.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 2009 წელს, ჩავაბარე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლაში ქართულ-ბრიტანულ-უნგრულ პროგრამაზე (სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოვიპოვე 70%-იანი სახელმწიფო გრანტი, ამას დაემატა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შიდა გრანტი, რომელიც ანალოგიურია სახელმწიფო გრანტისა და ჯამში ჩემ მიერ მიღებულმა გრანტმა შეადგინა ყოველწლიური 3150 ლარი, ოთხი სასწავლო წლის მანძილზე). პროგრამა მოიცავს სამწლიან სწავლებას საქართველოში, ხოლო დამამთავრებელ მეოთხე წელს ოქსფორდ ბრუკის ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლაში. ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა ბრიტანული უნივერსიტეტის – ოქსფორდ ბრუკის მიერ ლიცენზირებული უნივერსიტეტია, რომელიც გასცემს ბრიტანული უნივერსიტეტის – ოქსფორდ ბრუკის ხარისხის დიპლომს. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსა და ოქსფორდ ბრუკის ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, კრედიტების ურთიერთაღიარების საფუძველზე, კურსდამთავრებულებს ორმაგი ხარისხის დიპლომები ენიჭებათ (ქართული – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და ბრიტანული – ოქსფორდ ბრუკის ბაკალავრის ხარისხის დიპლომები). მესამე კურსის დასრულებისა და საჭირო კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტი, რომელსაც სურს ბუდაპეშტში გამგზავრება, აბარებს წერილობით ტესტს ბიზნეს ინგლისურში და ონლაინ რეჟიმში, სკაიპში გადის გასაუბრებას ბუდაპეშტის სკოლის წარმომადგენელთან, რომელსაც უნდა განუმარტოს, რატომ სურს სწავლა ამ სასწავლებელში და რა არის მისი მოტივაცია. ტესტირებისა და გასაუბრების წარმატებით გავლის შემთხვევაში, მას ეძლევა შესაძლებლობა მეოთხე სასწავლო წელი ბუდაპეშტში ისწავლოს. სწორედ ამ ეტაპების გავლის შედეგად მოვხვდი ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლაში, სადაც დავიცავი სადიპლომო ნამუშევარი, რომელიც ქართული მცირე და საშუალო ღვინის კომპანიების ინტერნაციონალიზაციის პროცესს ასახავს. ჩემმა ნამუშევარმა დიდი დაინტერესება გამოიწვია ბუდაპეშტის ბიზნეს სკოლის პროფესორ-მასწავლებლებს შორის.

– როგორც ვიცი, ბუდაპეშტში გამგზავრებამდე აქტიურად მონაწილეობდი საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაციის AIESEC პროექტებში, რამაც ალბათ, გარკვეული გამოცდილება შეგძინა

– ბუდაპეშტში გამგზავრებამდე მართლაც ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი სამი სასწავლო წელი გავატარე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. 2010-2012 სასწავლო წლების განმავლობაში ვიყავი სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი, ასევე მეორე კურსის მეორე სემესტრი გავატარე უკრაინაში, ქალაქ ოდესაში, სადაც ვმონაწილეობდი საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაციის AIESEC ოდესის ლოკალური კომიტეტის სამ სხვადასხვა პროექტში. ოდესაში ყოფნის პერიოდში ოდესის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტში, ჩემს ბულგარელ კოლეგებთან ერთად, უკრაინელ სტუდენტებს ვუტარებდი ვორკშოპებს, ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ლიდერი 21-ე საუკუნეში“, „დროის ეფექტური მართვა“, „ეფექტური და შრომისუნარიანი გუნდის მშენებლობა“.

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ვუტარებდი პრეზენტაციებს სხვადასხვა აქტიურ თემატიკაზე, ვაცნობდი საქართველოს, ქართულ კულტურას და წეს-ჩვეულებებს. ვმონაწილეობდი სოციალურ პროექტში, რომელიც გულისხმობდა შეზღუდული უნარების მქონე არასრულწლოვანებთან მუშაობას, მათ დახმარებას საზოგადოებასთან ინტეგრაციაში და მათი ზოგადი ცოდნის გაღრმავებას. რა თქმა უნდა, სტუდენტური საერთაშორისო ორგანიზაციის AIESEC პროექტებში მიღებულმა გამოცდილებამ და იმ ფაქტორმა, რომ ძირითადი სამუშაო ენა ინგლისური იყო, შემდეგში დიდი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში, რომელსაც ბუდაპეშტში მივაღწიე.

– როგორ უნდა მიიღონ AIESEC-ის პროექტებში მონაწილეობა დაინტერესებულმა სტუდენტებმა და რა ეტაპები უნდა გაიარონ?

– AIESEC-ის საშუალებით საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისთვის საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა. პირველ რიგში, მსურველმა უნდა შეავსოს აპლიკაცია, სადაც უნდა დაასაბუთოს, რატომ სურს გახდეს ამ პროექტების მონაწილე. თუკი აპლიკაცია დამაკმაყოფილებელია, შემდეგ AIESEC-ის საქართველოს წარმომადგენლობა აპლიკანტებს გასაუბრებას უტარებს ინგლისურ ენაზე, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში იწყება, დაახლოებით, ერთკვირიანი ტრენინგები. ბოლო ეტაპი სკაიპით გასაუბრებაა იმ ქვეყნისა და ლოკალური კომიტეტის წარმომადგენელთან, სადაც გამგზავრება სურს აპლიკანტს. ჩემ შემთხვევაში საინტერესო ის იყო, რომ ძირითადად, AIESEC-ის პროექტებში ჩართვის მსურველები ერთ კონკრეტულ პროექტში მონაწილეობენ, ხოლო მე ოდესის ლოკალური კომიტეტის ორ, შემდეგ, ორმხრივი სურვილის გამო, მესამე პროექტშიც მივიღე მონაწილეობა.

– რა შეგიძლია მიამბო ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლის შესახებ, რა პროფესიას დაეუფლე სასწავლებელში?

– ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა, რომელიც ცენტრალურ ევროპაში, უნგრეთში მდებარეობს, თანამედროვე ბიზნეს სკოლაა. ის ბრიტანული სასწავლო მეთოდიკისა და სტანდარტების პროვაიდერია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. უნივერსიტეტი 80-ზე მეტ სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტს აერთიანებს. იქ არის საერთაშორისო გარემო და საუკეთესო ადგილი სტუდენტებისთვის. მათ საშუალება ეძლევათ ახლოს გაეცნონ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს, ჩამოაყალიბონ მათთან მეგობრული და სამომავლო პარტნიორული ურთიერთობები. ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა ამზადებს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს მენეჯერებსა და მომავალ მეწარმეებს. დავეუფლე ბიზნეს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სპეციალობას, სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები საშუალებას მაძლევს ვიმუშაო, როგორც დაქირავებული მენეჯერის, ასევე მეწარმის პროფილით.

– ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლაში, ალბათ, თავის დროზე, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა...

– ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლაში განათლება აქვს მიღებული მრავალ ცნობილ თანამედროვე მენეჯერს, მეწარმესა და ბიზნესმენს. მაგალითად, **გაბორ ჰერენდი**, რომელიც ფინანსური მენეჯერია მსოფლიოში ცნობილ FCB-ის სარეკლამო საგენტოში, ლონდონის საერთაშორისო იურიდიული კომპანიის მრჩეველია ბიზნეს საკითხებში, ოქსფორდის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და, ამავდროულად, კინოწარმოების frederick production რედაქტორია; **მონიკა შრეიბერი** HBO-ს ამერიკული საკაბელო ტელევიზიის რეგიონული მენეჯერი ცენტრალურ ევროპაში; **პიტერ ბუსი** – უნგრეთის ყველაზე დიდი ფარმაცევტული კომპანიის მმართველი დირექტორი და სხვ.

– რა შეგიძლია მიამბო, სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ. ასეთ სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი? ასევე, მინდა ისაუბრო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე...

– უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კორპუსი დაკომპლექტებულია სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიებისა და კორპორაციების ტოპ-მენეჯერებით, რომლებიც დოქტორის ხარისხს ფლობენ და პარალელურად ლექციებსა და სემინარებს ატარებენ ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლაში. ისინი თხრობას აგებენ საკუთარ ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებაზე, რაც ძალიან საინტერესო ელფერს სძენს ლექციებს. პროფესორები კონკრეტულ საკითხებზე სასაუბროდ ხშირად იწვევენ საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლებს, ცნობილ ბიზნესმენებსა და საერთაშორისოდ ცნობილ მენეჯერებს, ასევე ხშირია შეხვედრები ამავე უნივერსიტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ სტუდენტებს. რაც შეეხება სემინარებს, პრაქტიკული სახის მეცადინეობებია, ეწყობა ბიზნეს-სიმულაციები, სხვადასხვა ქეისების ანალიზი და განხილვა. სწავლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ჯგუფური სამუშაო, რაც ნიშნავს 3-4 სტუდენტისგან დაკომპლექტებულ გუნდს, რომელსაც ევალება სხვადასხვა სახის Start up-ების სიმულაციების შექმნა, სხვადასხვა კომპანიების ბიზნესის ანალიზის, ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და ჩატარებული სამუშაოს აუდიტორიის წინაშე წარდგენა, რის შემდეგადაც პრეზენტაცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გადადის და განიხილება ჯგუფის შესრულებული სამუშაოს ხარისხი, სუსტი და ძლიერი მხარეები. მსგავსი აქტივობების განხორციელებაში დიდ როლს თამაშობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია ბიზნეს ლიტერატურით, სხვადასხვა ბიზნეს ჟურნალებით და გამოცემებით. უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა, რაც შესაძლებელს ქმნის წიგნებზე წვდომას ონლაინ რეჟიმში, ეს კი ძალიან მოსახერხებელია სტუდენტებისთვის.

– ზოგადად, რა შეგიძლია მიამბო უნგრეთის განათლების სისტემაზე. რა არის უნგრეთის განათლების მაღალი დონის მაჩვენებელი?

– რაც შეეხება განათლების სისტემას, უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთში უამრავი უცხოელი სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. სტატისტიკის მიხედვით, უნგრეთის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა 70% უნივერსიტეტის დამთავრების პირველივე წელს საქმდება. კონკრეტულად ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიზნეს სკოლის შემთხვევაში ეს რიცხვი 80-85%-ს აღწევს, რაც, ჩემი თვალსაზრისით, ხაზს უსვამს განათლების მაღალ დონეს უნგრეთში.

– უცხოურ სასწავლებლებში ეწყობა სამოგზაურო ტურები, სწავლის პერიოდში ხომ არ მოგიწია სასწავლებლიდან რომელიმე ქვეყანაში წასვლა? კერძოდ სად და რა მიზნით?

– სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ეწყობოდა რამდენიმედღიანი ტურისტული ტურები მეზობელ ქვეყნებში, თუმცა მათში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან სწავლის პარალელურად, მეორე სემესტრის დასაწყისში, მუშაობა დავიწყე ოჯახური ტიპის სასტუმროში, ნახევარ განაკვეთზე, მენეჯერის თანამდებობაზე, რის გამოც თავისუფალი დროის დეფიციტი მქონდა.

– მიამბე, უნგრეთის შესახებ, როგორ ცხოვრობს ხალხი, ახალგაზრდები, რა არის მათთვის ყველაზე პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული?

– უნგრეთი ცენტრალურ ევროპაში ტურისტებისთვის და სტუდენტებისთვის ყველაზე გამორჩეული და მიმზიდველი ქვეყანაა. უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი, სადაც ვცხოვრობდი და ვსწავლობდი, მდიდარია შუა საუკუნეების არქიტექტურით. ბუდაპეშტშია ევროპაში სიძველით მეორე მეტრო, რომლის არქიტექტორი გუსტავ ეიფელი გახლავთ. ბუდაპეშტი, ასევე, ცნობილია კლუბებით, ბარებითა და რესტორნებით, რეკრეაციული ზონებით. ძალიან საინტერესოა ბუდაპეშტი ზაფხულის პერიოდში, როდესაც მრავლად ეწყობა სხვადასხვა მიმართულებისა და ჟანრის მუსიკალური ფესტივალები. უგემრიელესია უნგრული სამზარეულო; აქვთ მევენახეობისა და ღვინის წარმოების მრავალწლიანი კულტურა და გამოც-

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

დილება; განვითარებულია როგორც მაღალტექნოლოგიური დარგები, ისე ფინანსური სექტორი და სოფლის მეურნეობა. უნგრეთში განლაგებულია მრავალი საერთაშორისო კომპანიის სათაო და რეგიონული ოფისები, საწარმოები და ქარხნები.

რაც შეეხებათ ახალგაზრდებს, მათთვის პრიორიტეტულია პროფესიული ზრდა. ქართველებისგან განსხვავებით აქცენტს აკეთებენ ვიწრო სპეციალობაზე და ცდილობენ მაქსიმალურად გაიღრმავონ ცოდნა კონკრეტული მიმართულებით, რათა იყვნენ კონკურენტუნარიანი კადრები დასაქმების ბაზრის სპეციფიკურ სეგმენტში.

– სად და როგორ ატარებდი თავისუფალ დროს?

– როგორც უკვე აღვნიშნე, ბუდაპეშტი ცნობილია კლუბებითა და ბარებით, იმდენად ცნობილი, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან ახალგაზრდები უქმეების გასატარებლად. შესაბამისად, არც მე ვიყავი გამონაკლისი და პარასკევი-შაბათი აქტიურად ვისვენებდი მეგობრებთან ერთად ბუდაპეშტის სხვადასხვა კლუბებსა და ბარებში. თავისუფალ დროს ფეხბურთსაც ხშირად ვთამაშობდით, ვატარებდით ჩემპიონატებს, სხვადასხვა ქვეყნის გუნდები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. პროფესიონალი ქართველი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, თითქმის, ყოველთვის ვიმარჯვებდით.

– ზურაბ, მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

– რთული კითხვაა. ცხოვრების ამ ეტაპზე ჩემი მიზანია, გავიღრმავო პროფესიული ცოდნა და უნარები, შევიძინო ახალი სამუშაო გამოცდილება და განვაგრძო პროფესიული ზრდა. სამომავლოდ, კვლავ ვაპირებ საზღვარგარეთ წასვლას, ამჯერად, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. რაც შეეხება ზოგადად მომავალს, ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ მომავალს, რადგან დღეს გადადგმული ნაბიჯები განაპირობებს იმას, თუ ვინ იქნები ხვალ.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს გადამწყვეტ როლს?

– საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი, რა თქმა უნდა, დამატებითი პლუსი და პრივილეგიაა. სამწუხაროდ, დღესდღეობით, საქართველოში პროფესიონალი კადრების სერიოზული დეფიციტია დასაქმების ბაზარზე, რის გამოც, დამსაქმებლები ეძებენ ისეთ კადრებს, რომლებსაც აქვთ ხარისხიანი განათლება, სამუშაო გამოცდილება, პროფესიული ზრდის პოტენციალი და მოტივაცია. ყველაზე დიდი განსხვავება ევროპულ, ამერიკულ და ქართულ უნივერსიტეტებს შორის, ეს არის რეალური სამუშაო პრაქტიკა სწავლის პროცესში. ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ სტუდენტებს სხვადასხვა

გაცვლითი პროგრამებით, სტაჟირებებითა და სამუშაო პრაქტიკით. როდესაც დამსაქმებელი სამუშაო გამოცდილებას ითხოვს, ქართველი კურსდამთავრებულების უმეტესობისგან განსხვავებით, მათ აქვთ სამუშაო პრაქტიკა. თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების ურთიერთშერწყმა საუკეთესო გარანტიაა, მოიპოვო ის სამუშაო ადგილი, რომელიც გსურს და აკეთო ის საქმე, რაც გიყვარს.

ესაუბრა
მაკა ყიფშიანი

სადისკუსიო კლუბი

გია
მურღულია

დირექტორთა კონკურსის შესახებ

ძალიან მალე სკოლის მოქმედი დირექტორები და ამ პოსტის მაძიებელნი მთელი საქართველოს მასშტაბით ჯერ გასაუბრებას გაივლიან, შემდეგ კი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგენით, შეეცდებიან სკოლების სამეურვეო საბჭოებს საკუთარი ხედვისა და კომპეტენციის უპირატესობა დაუსაბუთონ. სოციალურ ქსელში უკვე გამოჩნდა სხვადასხვა კანდიდატის შეხედულება, თუ როგორ ესახება კონკრეტული სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენა და რეალიზება. ეს ლოგიკურად მართებულიც არის და გასაგებიც, თუმცა სურათს ერთი „სტრატეგიული“ ხარვეზი ახლავს, რაც უახლოეს მომავალში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. საქმე ის არის, რომ ნებისმიერი სტრატეგიული გეგმის განხორციელებას „თავისუფალი ფული“ სჭირდება, რაც ჩვენს საჯარო სკოლებს პრაქტიკულად არ გააჩნიათ. ის სისტემა, რითაც წლების განმავლობაში სახელმწიფო მათ აფინანსებთ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ „კვლავწარმოებას“ გულისხმობს და განვითარებას კი – არანაირად ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ ყოველ მომდევნო წელს შეგიძლიათ დაგეგმოთ და გააკეთოთ ის, რასაც წელს აკეთებდით (უკეთესად ან უარესად), ინოვაციას კი ახლოსაც ვერ გაეკარებით, რადგან საამისო სახსრები არ გექნებათ (რომ არაფერი ვთქვათ პედაგოგთა ნაწილის არასაკმარის კომპეტენციასა და მასწავლებელთა სრული კორპუსის მოტივაციის ნაკლებობაზე). საბოლოო ანგარიშით, რა გამოდის? მომავალი დირექტორი მივა სკოლაში, პედაგოგებსა და მშობლებს წარუდგენს სკოლის განვითარების გეგმას, რომლის არსებითი ნაწილის (ცხადია, ზოგი რამის განხორციელება მცირე სახსრებითაც შეიძლება) რეალიზებას ის ვერასდროს შეძლებს ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, არარსებულ რეალობაზე ისაუბრებს. რომელიმე გონიერი პედაგოგის ან მშობლის ერთი უბრალო კითხვა – „მაინც რა სახსრებით აპირებთ ამ ყველაფრის გაკეთებას?“– თეორიულად თუნდაც ძალიან კარგი გეგმისგან ქვას ქვაზე არ დატოვებს. როდესაც ამაზე ვფიქრობთ (იმედი მაქვს – ყველანი ერთად), უპრიანი იქნება იმგვარი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე ვიზრუნოთ, რაც სახელმწიფოს მთავარ მესვეურებს ასეთ მოთხოვნას წაუყენებს: „ბატონებო, გადადგით არასტანდარტული და გაბედული ნაბიჯები განათლების სისტემის დაფინანსების ხარისხობრივად გასაზრდელად. დააფინანსეთ ფიქრი, რომელიც სკოლას უკეთესს გახდის – დააფინანსეთ სკოლის განვითარება! – ამის გარეშე სხვა ყველაფერთან ერთად (მართვის გაუმჯობესება, განათლების ხარისხის ამაღლება, პროფესიული განვითარება...) დირექტორთა კონკურსიც მხოლოდ ფორმალობად იქცევა“.

წიგნიერების პრობლემა საქართველოში

რომელ ადგილზეა ქართული სკოლა მსოფლიო სკოლათა სისტემაში? თუ კვლევებს ვენდობით – ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე. რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში ჩატარდა დაწყებით კლასებში (როგორც წესი, I-IV კლასები) წიგნიერების კვლევა. ქართველი ბავშვების მიერ ნაჩვენები შედეგი ჩვენი ქვეყნისთვის ძლიერ დამაფიქრებელი იყო.

რა არის „წიგნიერება“?

მოკლედ თუ ვიტყვით, ეს არის: კითხვის უნარი, წაკითხულის ადეკვატურად აღქმა, გააზრება და მიღებული ინფორმაციის გამოყენება სხვა კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ წიგნიერების პრობლემა იგივეა, რაც აზროვნების პრობლემა.

ეს თემა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე არ არის აქტუალური. სათანადო კვლევები უფრო ზედა საფეხურებზეც გვიჩვენებს, რომ ამ დონეებზეც არ გვაქვს კარგად საქმე. უფრო მეტიც – მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესმა სრულიად ნათლად დაგვანახვა, რომ პედაგოგთა საკმაოდ დიდ ნაწილსაც წიგნიერების (განსაკუთრებით კი – წაკითხული ტექსტის ადეკვატური აღქმის) მხრივ პრობლემები აქვს.

გონიერმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იკითხოს: რატომ ხდება ეს ყველაფერი?

ჯერ მიზეზებზე ვისაუბროთ:

1. წიგნიერების ამაღლების ამოცანა წლების განმავლობაში არავის დაუსვამს და, ბუნებრივია, ვერც გადაწყდებოდა;

2. სათანადო კვლევები, რაც შესაბამისი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემდა, არ ტარდებოდა;

3. არავის შეუსწავლია საერთაშორისო პრაქტიკა – ისეთი დისციპლინა, როგორიც არის შედარებითი პედაგოგიკა, ათწლეულებია ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის ევროპულ და მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციას;

4. პედაგოგთა პროფესიული მოტივაცია საქართველოში მიუღებლად დაბალია – კარგი მუშაობის მატერიალური თუ მორალური სტიმულები მასწავლებლებს ნაკლებად აქვთ;

5. ასევე შორს დგას სასურველისაგან პედაგოგთა მნიშვნელოვანი ნაწილის პროფესიული კომპეტენცია – ბევრმა მათგანმა არ იცის, როგორ გამოიყენოს გაკვეთილებზე სწავლებისა თუ აღზრდის თანამედროვე მეთოდიკა და ტექნოლოგიები;

6. მიზეზთა შორის აუცილებლად უნდა დასახელდეს მშობელთა მოუთმენლად დაბალი ჩართულობა სასწავლო პროცესში და ბავშვის განვითარების საგანმანათლებლო თუ ფსიქოლოგიური ასპექტების პრაქტიკულად გაუცნობიერებლობა; ისიც დიდი ხნის წინ დაადგინეს, რომ იმ ოჯახებში, სადაც ნორმალური ბიბლიოთეკა აქვთ და მშობლები შვილებს წიგნის კითხვის მაგალითს აძლევენ, სხვებთან შედარებით წიგნიერების დონე არსებითად მაღალია;

7. საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ სერიოზული ხარვეზები ახლავს განათლების სისტემის მართვას, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონულ და სასკოლო დონეზე. მაგალითად, მას შემდეგ, რაც წიგნიერების კვლევის ჩვენთვის სავალალო შედეგები ცნობილი გახდა, თითქმის არაფერი გაკეთებულა საიმისოდ, რომ მომდევნო კვლევის ჩატარებისას უკეთესი მდგომარეობა დაფიქსირებულიყო – თითქოს იყო მსჯელობა ხსენებული შედეგების მიზეზებზე და სათანადო რეკომენდაციებიც გამოიკვეთა, მაგრამ პრაქტიკულად არავის უზრუნია (ცალკეული სკოლებისა თუ მასწავლებლების გარდა) ამ რეკომენდაციათა სასკოლო ცხოვრებაში რეალიზებისთვის.

წიგნიერების პრობლემა ძალიან სახიფათო რამ არის საზოგადოებისთვის – როდესაც ადამიანებს არასწორად ან არასრულფასოვნად ესმით ის, რასაც კითხულობენ, ეცნობიან და აღიქვამენ, გამორიცხულია ადეკვატურად გაიაზრონ ის და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღონ. ამის პრეცედენტები ყველგან ჩანს: ხელისუფლებაში, მედიაში, სასამართლოში თუ უბრალოდ ყოფით ცხოვრებაში. ადამიანები საჯაროდ მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც კარგად არ ესმით იმის გამო, რომ არ შეუძლიათ გაგონილის ან წაკითხულის არსების დანახვა, მთავარი და მეორეხარისხოვანი მომენტების გამიჯვნა.

რა ეშველება ამას ყველაფერს?

სწრაფად – არაფერი! ამის ილუზია არ უნდა გვქონდეს.

მაგრამ მოგვიანებითაც არაფერი ეშველება, თუ ახლავე არ გადავდგამთ გონივრულ ნაბიჯებს.

რა მაქვს მხედველობაში?

1. სასკოლო საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რატომ არის ჩვენს ბავშვებში წიგნიერების ასეთი დაბალი დონე და სკოლის სამივე საფეხურზე ყოველდღიურად გაცნობიერებულად და სისტემურად იზრუნოს, ვითარების გამოსასწორებლად;

2. სახელმწიფომ ხარისხობრივად უნდა გაზარდოს სკოლის დაფინანსება პედაგოგთა მოტივაციის ასამაღლებლად და ჩვენი საზოგადოების ყველაზე მომზადებული ნაწილის სასკოლო ცხოვრებაში ჩასართველად. ამ ვითარებაში საკმარისი არ არის 10-20 %-იანი ზრდა – ეს სასურველ შედეგს ცოტათიც კი ვერ მიგვაახლოებს. საჭიროა დაფინანსების გაზრდა 2-3-ჯერ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგვიძლია გამოვეთხოვოთ კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა თაობის აღზრდის მცირე სურვილსაც და იმედსაც. მხოლოდ ეს დაანახვებს ყველას, რომ განათლება ჩვენს ქვეყანაში მართლა პრიორიტეტია; ამის გაკეთება შესაძლებელია პოლიტიკური ნების შემთხვევაში, რაც მთელ მსოფლიოს დაანახვებს, რომ „ჰუმანური რევოლუციისთვის“ ქართველები მზად არიან არაორდინალური და რადიკალური გადაწყვეტილებებისთვის – სხვაგვარად ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა დიდ ილუზიად დარჩება;

3. არსებითად უნდა შეიცვალოს და დაიხვეწოს პედაგოგთა მომზადების პროგრამები უნივერსიტეტებში, რათა მასწავლებელთა პროფესიულ არსენალში იყოს სწავლების ყველაზე თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები – ამჟამად მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის თეორიული გააზრება ჩვენს ქვეყანაში უკიდურესად დაბალ დონეზე დგას. პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, ჩვენში სულს ღაფავს;

4. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მშობელთა მომზადებაზე (კურსები, მრავალფეროვანი პოპულარული ლიტერატურა, მიზნობრივი პროპაგანდა და ა.შ.), რათა მათ შეძლონ საკუთარი შვილების წიგნიერების ამაღლების პროცესში გაცნობიერებული ჩართვა;

5. უნდა შეიქმნას განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის, როგორც სასკოლო, ისე საზოგადოებრივი და სახელმწიფო სისტემები – ეს აუცილებელია გაკეთდეს, რათა საქმის გამოსწორების პროცესს სრულფასოვნად და კეთილსინდისიერად გავადევნოთ თვალი და მხოლოდ ცუდი შედეგის გამო ვიღაც-ვიღაცები არ გახდნენ დასასჯელნი;

6. საგანგებო მისია ეკისრება მედიას – საინტერესო და პრობლემური გადაცემები თუ პუბლიკაციები არსებითად შეუწყობს ხელს ვითარების გაჯანსაღებასა და გამოსწორებას.

რაც აქ დავწერე, თავისი არსით ძალიან თეზისურია და უამრავ ასპექტსა თუ ნიუანსს მოიცავს, თუმცა, ვფიქრობ, საკმარისია იმისთვის, რომ საზოგადოება და სახელმწიფო, თითოეული ჩვენგანი, არსებული მწვავე პრობლემის შეძლებისდაგვარად ოპერატიული გადაწყვეტის აუცილებლობაში დაარწმუნოს.

სასერტიფიკაციო გამოცდა

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

გთავაზობთ სხვადასხვა სახის ტესტებსა და სავარჯიშოებს გეოგრაფიის მასწავლებელთა დასახმარებლად. ვფიქრობთ, მოცემული მასალა დიდ დახმარებას გაუწევს მათ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მოსამზადებლად. ტესტებისა და სავარჯიშოების თემატიკა შეესაბამება საგამოცდო პროგრამას. ტესტებს თან ახლავს პასუხები, რომელთა დახმარებით შეგიძლიათ გადაამოწმოთ თქვენი შედეგები.

დასაწყისი იხ. №31

46. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დედაქალაქები მდებარეობენ ზღვის სანაპიროზე:
1. სტოკჰოლმი; 6. კეიპტაუნი;
2. ტირანა; 7. აბუჯა;
3. ბარსელონა; 8. აბიჯანი;
4. ლისაბონი; 9. ბეიჯინგი;
5. ლუანდა; 10. სანტიაგო.

47. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია აფრიკის ქვეყნების დედაქალაქები:
1. რაბათი; 5. პორტ-მორსბი;
2. კაირო; 6. იოჰანესბურგი;
3. ასმერა; 7. კინშასა;
4. ბუჟუმბურა; 8. ლაგოსი.

48. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია „დიდი რვიანის“ ქვეყნების დედაქალაქები:
1. ლონდონი; 6. რომი;
2. დუბლინი; 7. კანბერა;
3. ოტავა; 8. ლისაბონი;
4. ბრიუსელი; 9. მონრეალი;
5. ამსტერდამი; 10. ჟენევა.

49. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია რესპუბლიკური მმართველობის ფორმის ქვეყნების დედაქალაქები:
1. ვაშინგტონი; 6. ყარაჩი;
2. მონრეალი; 7. დელი;
3. ადის-აბება; 8. მანილა;
4. რაბათი; 9. ტოკიო;
5. ამანი; 10. სეული.

50. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია მონარქიული მმართველობის ქვეყნების დედაქალაქები:
1. მადრიდი; 6. მაპუტუ;
2. ოსლო; 7. მბაბანე;
3. თეირანი; 8. ერ-რიადი;
4. როტერდამი; 9. ელ-კუვეიტი;
5. რაბათი; 10. ბანგკოკი.

51. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია კონსტიტუციური მონარქიის მმართველობის ქვეყნების დედაქალაქები:
1. ოსლო; 6. ბაღდადი;
2. აბუჯა; 7. ვადუცი;
3. მასერუ; 8. დაკა;
4. ვინდჰუკი; 9. რაბათი;
5. მასკატი; 10. სუვა.

52. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია აბსოლუტური მონარქიის მმართველობის ქვეყნების დედაქალაქები:
1. იანგონი; 6. აბუ-დაბი;
2. დაკა; 7. ელ-კუვეიტი;
3. ვენტინიანი; 8. მასკატი;
4. ერ-რიადი; 9. კატმანდუ;
5. სინგაპური; 10. ტირანა.

53. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია უნიტარული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური მოწყობის მქონე ქვეყნების დედაქალაქები:
1. ლისაბონი; 6. კუალა-ლუმპური;
2. ამსტერდამი; 7. მონრეალი;
3. ბერნი; 8. დელი;
4. ბრაზილია; 9. კანბერა;
5. ანკარა; 10. ათენი.

54. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქალაქებია ფედერაციული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური მოწყობის მქონე ქვეყნების დედაქალაქები:
1. რომი; 6. კუალა-ლუმპური;
2. ვაშინგტონი; 7. მონრეალი;
3. ბერნი; 8. დელი;
4. ბრაზილია; 9. კანბერა;
5. ანკარა; 10. ტირანა.

55. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ამოარჩიეთ 7 ქვეყანა, რომელთა ტერიტორიის ფართობი 3 მლნ კვ.კმ-ზე მეტია:
1. რუსეთი; 6. აშშ;
2. ჩინეთი; 7. ყაზახეთი;
3. არგენტინა; 8. ავსტრალია;
4. ინდოეთი; 9. საუდის არაბეთი;
5. ბრაზილია; 10. კანადა.

56. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ამოარჩიეთ ქვეყნები, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა 100 მლნ კაცზე მეტია:
1. ირანი; 6. იაპონია;
2. ბანგლადეში; 7. რუსეთი;
3. პაკისტანი; 8. ნიგერია;
4. ვიეტნამი; 9. გერმანია;
5. ინდონეზია; 10. მექსიკა.

57. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ამოარჩიეთ აზიის 5 ქვეყანა, რომელთაც არა აქვთ საზღვაო საზღვარი:
1. თურქეთი; 6. იემენი;
2. ბუტანი; 7. ნეპალი;
3. ავღანეთი; 8. ლაოსი;
4. პაკისტანი; 9. ტიბეტი;
5. ეთიოპია; 10. მონღოლეთი.

58. ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ წყვილში აღნიშნეთ ის ქვეყანა, რომელიც უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს:
1. კენია – ტოგო;
2. ომანი – ბანგლადეში;
3. პერუ – მექსიკა;
4. ლიხტენშტეინი – ლუქსემბურგი;
5. ფიჯი – ვანუატუ.

59. ქვემოთ ჩამოთვლილ რომელ ჯგუფშია დალაგებული ქვეყნები სწორი თანმიმდევრობით ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით:
ა) ნორვეგია, დანია, შვეიცარია, ბელგია;
ბ) თურქეთი, სირია, იემენი, ომანი;
გ) ნიგერია, კონგო, ზიმბაბვე, ლესოტო;
დ) გვატემალა, ნიკარაგუა, კოსტა-რიკა, ჰონდურასი.

60. რომელ კუნძულზე მდებარეობს სამი ქვეყანა და რომელია ეს ქვეყნები:
1. ირლანდია; 4. ცეცხლოვანი მიწა;
2. კალიმანტანი (ბორნეო); 5. მადაგასკარი;
3. ახალი გვინეა; 6. ტასმანია.

61. იპოვეთ შეცდომა და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი:
ა) ინდოეთი; დ) იტალია;
ბ) ბრაზილია; ე) ეგვიპტე
გ) მექსიკა; .

62. იპოვეთ შეცდომები შესაბამისობაში: „სახელმწიფო – დედაქალაქი“ და გაასწორეთ:
1. ნორვეგია – ოსლო; 11. ნიკარაგუა – ნიკარაგუა;
2. შვედეთი – სტოკჰოლმი; 12. ბაჰამის კუნძულები – ნასაუ;
3. თურქეთი – სტამბული; 13. ეკვადორი – კიტო;
4. სირია – დამასკო; 14. ტონგა – ნუკუალოფა;
5. შვეიცარია – ბერნი; 15. ბოთსვანა – გაბორონე;
6. ავსტრია – ვენა; 16. მალავი – ლილონგვე;
7. რუმინეთი – ბუქარესტი; 17. კამბოჯა – ვენტინიანი;
8. საფრანგეთი – პარიზი; 18. ტაილანდი – დაკა;
9. ბულგარეთი – სოფია; 19. ფილიპინები – მანილა;
10. უნგრეთი – ბუდაპეშტი; 20. ინდონეზია – ჯაკარტა.

63. ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ამოირჩიეთ სამი ქვეყანა, რომლებიც წარსულში დიდი ბრიტანეთის კოლონიას წარმოადგენდა:
ა) პაკისტანი; დ) ვიეტნამი;
ბ) მაროკო; ე) ნიგერია;
გ) შრი-ლანკა; ვ) ალჟირი.

64. ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ამოირჩიეთ სამი მონარქიული ქვეყანა:
ა) მაროკო; დ) სირია;
ბ) ბანგლადეში; ე) ომანი;
გ) ტაილანდი; ვ) ვიეტნამი.

65. ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ამოირჩიეთ ნატოს წევრი სამი ქვეყანა:
ა) გერმანია; დ) ფინეთი;
ბ) ისრაელი; ე) საფრანგეთი;
გ) კანადა; ვ) სარ;

66. დაადგინე შესაბამისობა გეოგრაფიულ ობიექტებსა და მოვლენებსა და წვრილმასშტაბიან გეოგრაფიულ რუკაზე მათი გამოსახვის ხერხებს შორის.

გეოგრაფიული ობიექტები და მოვლენები:	**გამოსახვის ხერხები:**
1. ოკეანური დინებები ფიზიკურ რუკაზე;	ა) ხარისხობრივი ფონი;
2. ჭაობები ფიზიკურ რუკაზე;	ბ) არეალები;
3. ბუნებრივი ზონები ბუნებრივი ზონების რუკაზე.	გ) მოძრაობის ხაზები;
	დ) იზოხაზები

67. იპოვეთ შეცდომები შესაბამისობაში: „სამრეწველო რაიონი – ქვეყანა“ და გაასწორეთ:
1. ანტვერპენის – ნიდერლანდი;
2. შტუტგარდის – გერმანია;
3. რონის – საფრანგეთი;
4. რურის – გერმანია;
5. ასტურიის – პორტუგალია;
6. მიდლენდის – გაერთიანებული სამეფო;
7. სიცილიის – იტალია.

68. დაადგინეთ შესაბამისობა ხელსაწყოებსა და ამინდის ელემენტებს შორის:

ხელსაწყოები:	**ამინდის ელემენტები:**
ა) ბარომეტრი;	1. ჰაერის ტემპერატურა;
ბ) ნალექმზომი;	2. ქარის სიჩქარე;
გ) თერმომეტრი;	3. ნალექების რაოდენობა;
დ) ფლუგერი;	4. ქარის მიმართულება;
ე) ჰიგრომეტრი;	5 ატმოსფერული წნევა;
ვ) ანემომეტრი;	6. ჰაერის ტენიანობა.

69. დაადგინეთ შესაბამისობა ნალექების რაოდენობასა და ტერიტორიას შორის:
ნალექების საშუალო რაოდენობა და მათი მოსვლის რეჟიმი:
1. 500-800 მმ, მაქსიმუმი ზამთარში;
2. 1000- 2000 მმ, მაქსიმუმი ზაფხულში;
3. 2000-3000 მმ, თანაბარი.
ტერიტორია:
ა) მდინარე ამაზონის შუა დინება;
ბ) მდინარე ვოლგის შუა დინება;
გ) კორეის ნახევარკუნძული;
დ) კუნძულები სიცილია და სარდინია.

70. დაადგინეთ შესაბამისობა ნალექების რაოდენობასა და ტერიტორიას შორის:
ნალექების საშუალო რაოდენობა და მათი მოსვლის რეჟიმი:
1. 2000-3000 მმ, თანაბარი, მაქსიმუმი გაზაფხულსა და შემოდგომაზე;
2. 500-800 მმ, მაქსიმუმი ზამთარში;
3. 2000 მმ, მაქსიმუმი ზაფხულში;
4. 1000-2000 მმ, თანაბარი.

ტერიტორია:
ა) ავსტრალიის სამხრეთ-დასავლეთი;
ბ) აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი;
გ) კორეის ნახევარკუნძული.

71. დაადგინეთ, რომელი ქვეყნის აღწერილობაა მოცემული:
„ეს ქვეყანა-არქიპელაგი მმართველობის მიხედვით კონსტიტუციური მონარქიაა. ამ ქვეყნის ერთეროვანი მოსახლეობა დიდი რიცხოვნობით გამოირჩევა: მოსახლეობის რაოდენობით იგი მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში შედის. ქვეყანა ფლობს ძალიან დიდ და ყველაზე თანამედროვე საზღვაო სავაჭრო ფლოტს, რამეთუ გამოყენებული ნედლეულისა და საწვავის 9/10 იმპორტირებულია.“

72. დაადგინეთ, რომელი ქვეყნის აღწერილობაა მოცემული:
„ეს ქვეყანა ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოა და მას ორი ოკეანე ესაზღვრება. ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ბრტყელ პლატოს უკავია, რომელიც სამხრეთიდან აღმოსავლეთისაკენ მთებითაა შემოსაზღვრული. მისი წიაღი მდიდარია მრავალფეროვანი სასარგებლო წიაღისეულით. ალმასის, ოქროს, პლატინის, ურანის, რკინის მადნის მოპოვებით ამ ქვეყანას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ქვეყნის მოსახლეობა რთული ეთნიკური შემადგენლობით ხასიათდება. კონტინენტის სხვა ქვეყნებს შორის იგი ევროპეიდული მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა.“

73. დაადგინეთ, რომელი ქვეყნის აღწერილობაა მოცემული:
„ეს ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე პატარაა ფართობითა და მოსახლეობის რაოდენობითაც. გამოირჩევა მმართველობის უნიკალური ფორმით. მას ჰყავს საკუთარი მთავრობა, ჯარი, აქვს ბანკი და კანონები. ამ ქვეყნის საქმიანობის სფეროა თითქმის მთელი მსოფლიო.“

74. რუკის მიხედვით, დაადგინეთ რომელი ბუნებრივი ზონიდან რომელ ბუნებრივ ზონაში მოხვდება მოგზაური, თუ ის A წერტილიდან B წერტილისკენ მოგზაურობს:



ა) სავანების ზონიდან უდაბნოების ზონაში;
ბ) სავანების ზონიდან ნოტიო ეკვატორული ტყეების ზონაში;
გ) უდაბნოების ზონიდან სავანების ზონაში;
დ) უდაბნოების ზონიდან მარადმწვანე ხეშეშფოთლიანი ტყეებისა და ბუჩქნარების ზონაში.

სასერტიფიკაციო გამოცდა

75. რომელ დიაგრამაზეა სწორად ასახული საფრანგეთის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტუმეურნეობას



77. რომელ პარალელზეა 22 დეკემბერს დღე ღამეზე მოკლე:
ა) ჩ.გ. 30 გრადუსი;
ბ) 0 გრადუსი განედი.
გ) ს.გ. 20 გრადუსი;
დ) ს.გ. 40 გრადუსი.

76. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე რომელი ასოთია აღნიშნული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მდებარეობს სიმინდის ნათესების მნიშვნელოვანი ნაწილი:
1. A; 2.B; 3. C; 4. D



პასუხები: 46 – 1,4,5; 47 – 1,2,3,4,7; 48 – 1,3,6; 49 – 1,3,7,8,10; 50 – 1,2,5,7,8,9,10; 51 – 1,3,7,9; 52 – 4,6,7,8; 53 – 1,2,5,10; 54 – 2,3,4,6,8,9; 55 – 1,2,4,5,6,8,10; 56 – 2,3,5,6,7,8; 57 – 2,3,7,8,10; 58 – 1. კენია; 2. ბანგლადეში; 3. პერუ; 4. ლიხტენშტეინი; 5. ფიჯი; 59 – გ; 60 – 2. კალიმანტანი (ბორნეო); ქვეყნებია: ინდინეზია, მალაიზია, ბრუნეი; 61. – შეცდომაა: დ) იტალია, რადგან მოცემული ქვეყნები ყველა განვითარებადია, იტალიის გარდა. იგი განვითარებული ქვეყანაა; 62 – 3. თურქეთი - სტამბული; უნდა იყოს: თურქეთი - ანკარა; 11. ნიკარაგუა - ნიკარაგუა; უნდა იყოს: ნიკარაგუა - მანაგუა; 18. ტაილანდი - დაკა; უნდა იყოს: ტაილანდი - ბანგკოკი; 63 – ა, გ, ე; 64 – ა, გ, ე; 65 – ა, გ, ე; 66 – 1 -გ, 2 -ბ, 3 -1; 67 – 1. ანტვერპენის - ნიდერლანდი; უნდა იყოს: ანტვერპენის - ბელგია; 5. ასტურიის - პორტუგალია; უნდა იყოს: ასტურიის - ესპანეთი; 68 – ა - 5; ბ - 3; გ - 1; დ - 4; ე - 6; ვ - 2; 69 – 1 -დ; 2 -გ; 3 - ა; 70- 1 -ა; 2 - ბ; 4 - გ; 71 – იაპონია; 72 – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; 73 – ვატიკანი; 74 – გ; 75 – გ; 76 – 1. A; 77 – ა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

ელისო ონაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ბუნებისმცოდნეობა
I–VI კლასები, ბიოლოგია

კვება

ენერგიისა და ნივთიერებების მიღებას კვება ეწოდება.

ენერგიის მუდმივობის კანონის თანახმად ენერგია არ წარმოიქმნება და არ იკარგება. ჩაკეტილ სისტემაში, ერთი სახის ენერგია გარდაიქმნება მეორე სახის ენერგიად. მაგ; ასანთის გაკვრისას ქიმიური ენერგია გადადის სითბურ და სინათლის ენერგიებში.

ენერგია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მუშაობის შესრულების უნარი. ყველა ცოცხალი ორგანიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც მომუშავე მანქანა, რომლებიც ვერ იმუშავებენ და ვერ იცოცხლებენ ენერგიის უწყვეტად მიწოდების გარეშე. ენერგია აუცილებელია სასიცოცხლო პროცესებისათვის, ამ დროს სრულდება მაგ; შემდეგი სამუშაო:

❖ იმ ნივთიერებების სინთეზი, რომლებიც აუცილებელია ზრდისა და ქსოვილების აღსადგენად.
❖ ნივთიერებების აქტიური ტრანსპორტი უჯრედში და უჯრედიდან გარეთ.
❖ ნერვული იმპულსების გადაცემა.
❖ კუნთის მექანიკური შეკუმშვა – მოძრაობა.
❖ თბილსისხლიანებში (ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში) სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნება.
❖ ბიოლუმინესცენცია – სინათლის გამოსხივება, მაგ; ციცინათელებში და სხვ.
❖ ელექტრული განმუხტვა მაგ; გველთევზაში და სხვ.

იმისდა მიხედვით, თუ ენერგიის რომელ წყაროს იყენებს, ცოცხალი ორგანიზმები იყოფა **ფოტოტროფებად** (ბერძნული სიტყვადან „ფოტოს“ – „სინათლე“, „ტროფოს“ – „კვება“) და **ქემოტროფებად**. ფოტოტროფები არსებობისათვის საჭირო ნივთიერებების სინთეზისათვის იყენებენ მზის სინათლის ენერგიას, ხოლო ქემოტროფებს ამისათვის ესაჭიროება ქიმიური ენერგია. ფოტოტროფებს გააჩნია პიგმენტი (ქლოროფილი), რომელიც შთანთქავს სინათლის ენერგიას და გარდაქმნის მას ქიმიურ ენერგიად, ამ პროცესს **ფოტოსინთეზი** ეწოდება.

ნახშირბადი ის ძირითადი ელემენტია, რომელიც ესაჭიროება ყველა ცოცხალს, ამიტომ ნახშირბადის წყაროს გამოყენების მიხედვით ორგანიზმები იყოფა **ავტოტროფებად** (ბერძნულიდან „ავტო“ – „თვითონ“) და **ჰეტეროტროფებად** (ბერძნულიდან „ჰეტერო“ – „სხვა“, „სხვადასხვანაირი“). ავტოტროფები ცოცხლობენ არაორგანული ნახშირბადის (ნახშირორჟანგის) ხარჯზე, ხოლო ჰეტეროტროფები ამისათვის იყენებს ორგანულ ნახშირბადს. განსხვავებით ჰეტეროტროფებისაგან ავტოტროფები ორგანულ ნივთიერებებს ქმნის არაორგანული ნაერთებიდან. ამრიგად კვების ტიპის მიხედვით ცოცხალი ორგანიზმების ჯგუფებია

ფოტოავტოტროფები – იყენებს მზის ენერგიას და არაორგანულ ნახშირორჟანგს და წარმოქმნის ორგანულ ნივთიერებებს, ე. ი ახდენს ფოტოსინთეზს, მათ ეკუთვნის მწვანე მცენარეები, ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები და წაბლა წყალმცენარეები.

ქემოჰეტეროტროფები – იყენებს ქიმიურ ენერგიას და ორგანულ ნახშირბადს, მათ მიეკუთვნება ყველა ცხოველი, სოკოები, ბაქტერიების უმრავლესობა და პარაზიტი ყვავილოვანი მცენარეები (მაგ; ფითრი)

გარდა ამისა ცოცხალ ორგანიზმთა ერთი ჯგუფი, **ქემოსინთეზის ბაქტერიები (ქემოავტოტროფები)** ცხოველქმედებისათვის იყენებს ქიმიურ ენერგიას, მაგ; რკინის ბაქტერიები ჟანგავს რკინას. გოგირდის ბაქტერიები გოგირდს. ნიტრიფიკაციის ბაქტერიები აზოტს.

ეკოსისტემები

ეკოლოგია არის მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთქმედების შესახებ.

ცოცხალი ორგანიზმები იკავებენ რა გარკვეულ ადგილს (არეალს) დედამიწაზე ქმნიან **ეკოსისტემებს,** რომლებიც მოიცავს **აბიოტურ** (არაცოცხალი ბუნების კომპონენტებს) და **ბიოტურ** (სხვადასხვა ორგანიზმების თანაცხოვრება) ფაქტორებს, რომელთა შორისაც მიმდინარეობს ენერგიის გადასვლა და ნივთიერებათა წრებრუნვა. ენერგიის წყაროა მზის ენერგია. მწვანე მცენარე მზის ენერგიის ხარჯზე ახდენს ფოტოსინთეზს, რომლის დროსაც ენერგიით ღარიბი არაორგანული ნივთიერებებიდან, ნახშირორჟანგისა და წყლისაგან წარმოიქმნება ენერგიით მდიდარი ორგანული ნივთიერება ნახშირწყალი გლუკოზა და ატმოსფეროში გამოიყოფა ჟანგბადი. ამრიგად ფოტოტროფების მეშვეობით მზის ენერგია გარდაიქმნება ქიმიური ბმების ენერგიად, რომელიც კვების ჯაჭვების საშუალებით გადაეცემა ჰეტეროტროფებს, ამ დროს ადგილი აქვს ენერგიის თანდათანობით კლებას. ცოცხალი ორგანიზმები ენერგიის გარდამქმნელები არიან და ყოველთვის, როცა ხდება ენერგიის გარდაქმნა, მისი ნაწილი იკარგება სითბოს სახით და საბოლოოდ მთელი ენერგია, რომელიც მცენარეების მეშვეობით შემოვიდა თანასაზოგადოებაში, გაიფანტება სითბოს სახით. ცოცხალი ორგანიზმები ცხოველქმედებისათვის იყენებენ მხოლოდ მზისა და ქიმიურ ენერგიებს.

ეკოსისტემაში ენერგიით მდიდარ ორგანულ ნაერთებს ქმნის ავტოტროფები, რომლებიც ჰეტეროტროფებისათვის საკვებია (ენერგიისა და ნივთიერებების წყარო). ტიპიური მაგალითია მცენარეების ჭამა ბალახისმჭამელების მიერ, შემდეგ მათით იკვებება მტაცებლები და ამ გზით ხდება ენერგიის გადასვლა ერთი ორგანიზმიდან მეორეზე. ამას ეწოდება **კვების ჯაჭვი** და თითოეულ მის რგოლს ეწოდება **ტროფიკული დონე**. ეკოსისტემაში პირველი ტროფიკული დონეა **ავტოტროფები, ე.წ. პირველადი პროდუცენტები** – ორგანული ნივთიერებების პირველი მწარმოებლები. მეორე ტროფიკულ დონეს მიეკუთვნება **პირველადი კონსუმენტები**, მესამე დონეს **მეორეული კონსუმენტები** და ა.შ. როგორც წესი, კვებითი ჯაჭვი 4-5 რგოლისაგან შედგება, იშვიათად 6, რადგანაც ამ დროს ხდება ენერგიის დაკარგვა.

პირველად პროდუცენტებს მიეკუთვნება მწვანე მცენარე, ლურჯ-მწვანე მცენარეები და ქემოსინთეზის ბაქტერიები. წყლის ეკოსისტემის პირველადი პროდუცენტია წყალმცენარეები, რომლებიც ქმნის ფიტოპლანქტონს, ხოლო ხმელეთზე ძირითადად შიშველთესლოვნები და ფარულთესლოვნები ანუ ყვავილოვანი მცენარეები.

პირველად კონსუმენტებს მიეკუთვნება ბალახისმჭამელი ცხოველები. ხმელეთზე ესენია: მწერები, რეპტილიები, ფრინველები და ძუძუმწოვრები. ბალახისმჭამელი ძუძუმწოვრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფია – მღრღნელები და ჩლიქოსნები.

წყლის ეკოსისტემაში (მტკნარ და მლაშე წყლებში) პირველადი კონსუმენტებია მოლუსკები და წვრილი კიბოსნაირები. კიბოსნაირები სხვა უმარტივესებთან ერთად ქმნის ზოოპლანქტონს, რომელიც იკვებება ფიტოპლანქტონით. სიცოცხლე ოკეანეებსა და ზღვებში მთლიანად დამოკიდებულია პლანქტონზე, რადგანაც მისგან იწყება ყველა კვების ჯაჭვი.

პირველად კონსუმენტებს ეკუთვნის აგრეთვე მცენარეთა პარაზიტები: სოკოები, მცენარეები და ცხოველები.

მეორე და მესამე რიგის კონსუმენტებია მტაცებლები, მათში შედის ლეშისმჭამლები და პარაზიტები.

ზემოთ განხილული კვებითი ჯაჭვის გარდა არის აგრეთვე **დეტრიტული კვების ჯაჭვი.** მკვდარი მცენარეები და ცხოველების გვამი, აგრეთვე მათი ცხოველქმედებისას გამოყოფილი პროდუქტები (შარდი, ფეკალიები) შეიცავს ენერგიით მდიდარ და საშენ მასალად გამოყენებად ორგანულ ნივთიერებებს, რომლებსაც იყენებს მიკროორგანიზმები, კერძოდ სოკოები და ხრწნისა და ლპობის ბაქტერიები, მათ **რედუცენტები** ეწოდება. ნაწილობრივ გახრწნილი მასალის ნაფლეთებს ეწოდება **დეტრიტი** და ბევრი წვრილი ცხოველი – **დეტრიტოფაგი** ამით იკვებება, რითაც აჩქარებს ხრწნის პროცესს. რადგანაც ამ პროცესში მონაწილეობს, როგორც ჭეშმარიტი რედუცენტები (სოკოები და ბაქტერიები), ასევე დეტრიტოფაგები (ცხოველები), ორივე ჯგუფს რედუცენტებს უწოდებენ.

დეტრიტოფაგებით, თავის მხრივ, შეიძლება იკვებებოდეს უფრო მსხვილი ცხოველები და მაშინ იქმნება სხვა ტიპის კვებითი ჯაჭვი: დეტრიტი – დეტრიტოფაგი – მტაცებელი. მაგ: ჩამოცვენილი ფოთლები – ჭიაყელა – შავი შაშვი – შევარდენი.

ცხოველის გვამი – გვამის ბუზის მატლები – ბაყაყი – ზღარბი.

ეკოსისტემაში ცოცხალ ორგანიზმთა თანაცხოვრება რამდენიმე ტიპისაა. ესენია: **ბალახისმჭამელობა, მტაცებლობა**, როდესაც ერთი ორგანიზმი ჭამს მეორეს (კურდღელი – მგელი), **კონკურენცია** (**შეჯიბრი**), როდესაც ინდივიდები ერთნაირ გარემოში ცხოვრობენ და ერთი საკვებით იკვებებიან. მაგ; მგელი კონკურენტია სხვა მგლის, კონკურენტებია ქორი და შევარდენი, ორივე იკვებება სხვა ჩიტებით. **ნეიტრალიზმი** (კოდალა – ირემი), **მუტუალიზმი** – ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრება (არყის ხე – არყა სოკო, ადამიანი – ნაწლავებში მცხოვრები ბაქტერია – ნაწლავის ჩხირი), **კომენსალიზმი,** როდესაც ერთი სარგებლობს ისე, რომ არ ვნებს მეორეს (ფრინველის ბუდე – მასში მობინადრე მწერები), **პარაზიტიზმი,** როდესაც ერთი ორგანიზმი ცხოვრობს მეორის ხარჯზე (ძროხა – ქეცის გამომწვევი სოკო, ცხენი – ტკიპა).

ეკოსისტემაში კვებითი კავშირები ხასიათდება რიცხვითი პირამიდით, რომელიც გამოსახავს ინდივიდთა რიცხვს კვების ჯაჭვის ყოველ დონეზე. ყველაზე მრავალრიცხოვანია პირველადი კონსუმენტები, მათზე ნაკლებია მცენარის მჭამელი ორგანიზმები, უფრო მცირე მტაცებლები და ბოლოს ყველაზე ცოტაა მსხვილი მტაცებელი.

ეკოსისტემაში კვების ჯაჭვები სწორხაზოვანი არაა, სხვადასხვა სახეობა თითქმის ყოველთვის რამდენიმე სხვადასხვა ობიექტით იკვებება და ამასთანავე თვითონ არის საკვები ეკოსისტემის სხვა წევრებისათვის. შედეგად ვიღებთ კვების ჯაჭვის რთულ ქსელს.

ამრიგად ეკოსისტემაში ადგილი აქვს ენერგიის დინებას და ელემენტების (ატომების) წრებრუნვას. ენერგია იკარგება, აქედან ცხადია, რომ სიცოცხლეს დედამიწაზე განაპირობებს მზე, როგორც ენერგიის უწყვეტი მომწოდებელი. რაც შეეხება ელემენტებს, მათი პირველადი გამომყენებელია პროდუცენტები, რომლებიც არაორგანული ნაერთებიდან მზის ენერგიის ხარჯზე ქმნის ორგანულ ნივთიერებებს, ამ ნივთიერებებს იყენებს კონსუმენტები და ბოლოს რედუცენტების მეშვეობით ეს ელემენტები კვლავ არაორგანული ნივთიერებების სახით უბრუნდება დედამიწას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცოცხალი ორგანიზმები ცხოველქმედების პროცესშიც გამოყოფენ არაორგანულ ნივთიერებებს, მაგ; სუნთქვისას გამოიყოფა ნახშირორჟანგი.

კითხვები განსჯისათვის:

1. რა მოხდება დედამიწაზე თუ მზე ჩაქრება?
პასუხი: იცხოვრებდნენ მხოლოდ ქემოსინთეზის ბაქტერიები, რომლებიც ენერგიას იღებენ არაორგანული ნივთიერებების დაჟანგვით. მცენარეები ვერ მოახდენდნენ ფოტოსინთეზს, ამიტომ გადაშენდებოდნენ, შესაბამისად მოისპობოდა ყველა დანარჩენი ორგანიზმიც.

2. მოყავს რა ხორბალი, ადამიანი ქმნის ხელოვნურ ეკოსისტემას და თუ რამდენიმე წლის შემდეგ ნათესებში არ შეიტანს სასუქს ან არ დაასვენებს მიწას (არ დათესავს არაფერს რამდენიმე წელს), მაშინ ხორბლის მოსავლიანობა იკლებს, რატომ? ახსენით მიზეზი.
პასუხი: იღებს რა მოსავალს ადამიანს გამოაქვს ნიადაგიდან ის ელემენტები, რომლებიც ხორბალმა შეითვისა ცხოველქმედებისას, შესაბამისად ნიადაგი იფიტება, ამიტომ საჭიროა სასუქებით ამ ელემენტების შევსება ან მიწის დასვენება, რათა იმ ადგილას ამოსული სარეველები და შესაბამისად წარმოქმნილი ახალი ეკოსისტემა გაამდიდრებს ნიადაგს საჭირო ელემენტებით ადამიანის ჩარევის გარეშე.

3. დედამიწაზე დინოზავრების გადაშენების ერთ-ერთ მიზეზად მეცნიერები ასახელებენ იმ ფაქტს, რომ იმ დროს პლანეტაზე მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია გვიმრებისა და გვიმრანაირების გადაშენება – ამ ფაქტს ამყარებს ის, რომ სწორედ იმ დროსაა წარმოქმნილი ქვანახშირი. დაასაბუთეთ ეს მოსაზრება.
პასუხი: დინოზავრები დიდი ზომის ცხოველები იყვნენ, ისინი იკვებებოდნენ გიგანტური გვიმრებითა და გვიმრანაირებით, მათი მოსპობით დინოზავრები უსაკვებოდ დარჩნენ და გადაშენდნენ, გადაშენდნენ მტაცებელი დინოზავრებიც, რომლებიც ბალახისმჭამელი დინოზავრებით იკვებებოდნენ.

4. მოცემულია კვებითი ჯაჭვის სქემა:
❖ *პირველი ტროფიკული დონე*
❖ *მეორე ტროფიკული დონე*
❖ *მესამე ტროფიკული დონე*
❖ *მეოთხე ტროფიკული დონე*

თითოეულ დონეს მიუწერეთ შესაბამისი ცოცხალი ორგანიზმი და განსაზღვრეთ პროდუცენტი და კონსუმენტების რიგითობა.
პასუხი (ვარიანტი ბევრია, გთავაზობთ ერთ-ერთს)
პირველი ტროფიკული დონე – ყვავილოვანი მცენარე – **პირველადი პროდუცენტი;**
მეორე ტროფიკული დონე – პეპელა – **პირველადი კონსუმენტი;**
მესამე ტროფიკული დონე – ბეღურა – **მეორეული კონსუმენტი;**
მეოთხე ტროფიკული დონე – შევარდენი – **მესამეული კონსუმენტი.**

საიუბილეო გამოფენა

ორი საუკუნის შემდეგ...

ლალი ჯელაძე

25 ოქტომბერს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს მუზეუმთა ასოციაციისა და საქართველოს ICOM-ის ეროვნული კომიტეტის თანადგომით, გიორგი ერისთავის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული გამოფენა გაიხსნა – გამოფენა მართლაც გრანდიოზულია როგორც მნიშვნელობით, ისე მასშტაბითაც. სასახლეს მიახლოებულ სტუმრებს სპექტაკლ „გაყრიდან“ აჟღერებული მუსიკა უკვე ამცნობდა, რომ წინ დიდი სანახაობა ელოდათ. ეზოში დამონტაჟებულ სცენაზე კი გააცოცხლეს მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობებმა „გაყრიდან“ სცენები. სიმბოლური იყო პირველი რეალისტური სპექტაკლის სცენებით იუბილეს დაწყება, სწორედ ამ ფრაგმენტების ნახვის შემდეგ იოლი მისახვედრი გახდა, თუ რამ მოხიბლა ასე იმდროინდელი ქართული საზოგადოება და რამ გამოიწვია, თავის დროზე, დიდი გამოხმაურება. სპექტაკლი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აღდგა.

გიორგი ერისთავის იუბილე სასახლის ეზოდან დაიწყო. თეატრალები და არა მხოლოდ თეატრალები „ზამბახების“, „ოქროსფერ“ და არსენიშვილის სახელობის საგამოფენო დარბაზებში მიიპატიჟა და „ქართული თეატრის“ სამყაროში ამოგზაურა, დაარსებიდან 1921 წლამდე. საგამოფენო დარბაზებში გადანაცვლებული დამთვალიერებელი უშუალოდ შეეხო ისტორიას, რომელსაც ორსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

მრავალფეროვან გამოფენაზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული ილუსტრირებული ალბომის – „გიორგი ერისთავი და პროფესიული ქართული თეატრი“ – პრეზენტაცია გაიმართა. 200-გვერდიან წიგნში 400-ზე მეტი უნიკალური ფოტოდოკუმენტია შესული. კატალოგი მთლიანად მოიცავს თბილისის ყველა სათეატრო ნაგებობის გეგმასა და ფოტოებს, ასევე შესულია 1850-1921 წლებში საქართველოს მოქმედი ყველა თეატრალური დასის ფოტომატიანე, აქვეა დაბეჭდილი პირველი ქართული აფიშები და პროგრამები. წიგნი გამოსაცემად მოამზადა **გიორგი კალანდიამ**: *„შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი დიდი ილუსტრირებული კატალოგია ქართული თეატრის შესახებ – გიორგი ერისთავის დაბადებიდან 1921 წლამდე, სადაც შესულია ბევრისმომცველი ინფორმაცია ზოგადად ქართული თეატრისა და მისი დამაარსებლის შესახებ. მთელი წელი ვფიქრობდით ამ საიუბილეო თარიღზე, რადგანაც ქართული პროფესიული თეატრი წარმოუდგენელია გიორგი და დავით ერისთავების სახელის გარეშე. ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ერისთავი 22 სექტემბერს დაიბადა, მეტსახელად „გლუხარიჩს“ ეძახდნენ, ის ძალიან უყვარდა ქართველ ხალხს. მისმა დადგმებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა არა მარტო ქართული ხელოვნების და თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშიც, ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოხატვის თავისებური ფორმა, რომელსაც შეუერთდა და გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული საზოგადოება. ამიტომაცაა უნიკალური გიორგი და დავით ერისთავებისადმი მიძღვნილი გამოფენა.*

აქ ბევრი ისეთი ექსპონატია წარმოდგენილი, რომელიც მანამდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო. 200-ზე მეტ ექსპონატს შორის პირველი ქართული თეატრალური აფიშაა, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული, თეატრალური დასების ფოტოები და ა.შ. თეატრალებს და მთლიანად ქართულ საზოგადოებას თეატრი რომ ძალიან უყვარს, ეს სადავო არ არის და ის, რაც ძალიან გვიყვარს, გიორგი და დავით ერისთავებს უკავშირდება. ამიტომაც დამთვალიერებელს ერთი თვის განმავლობაში ექნება საშუალება იხილონ ჩვენი გამოფენა. ბედნიერი ვარ, რომ გამოფენაზე ბევრი ახალგაზრდა მოვიდა, ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს.“

იქ მისულმა დამთვალიერებელმა ძალიან ბევრ კითხვაზე მიიღო პასუხი. დამერწმუნებით, ჩვენგან ძალიან ცოტამ იცოდა, რატომ მიიღო ოპერის შენობის განუხორციელებელმა პროექტმა ვერცხლის მედალი და რა დააწერა მიხეილ ვორონცოვმა თამამშევის თეატრის გენერალურ გეგმას. პროექტი ვერცხლის მედალს იმიტომ დასჯერდა, რომ შენობა ერთსართულიანი იყო, შემდეგ გადაკეთდა მრავალსართულიანად და დღევანდელი ოპერის შენობას ძალიან ჰგავს. გამოფენაზე ორივე პროექტია წარმოდგენილი. ხოლო რაც შეეხება თამამშევის თეატრის გენერალურ გეგმაზე ვორონცოვის ჩინოვნიკისეულ ერთსიტყვიან წარწერას – „მიღებულია“, მან მწვანე შუქი აუნთო პირველი ქართული პროფესიული თეატრის მშენებლობას, რომელიც საზოგადოებაში „ქვის თეატრად“ , „თამამშევის“ ან „ქარვასლის“ თეატრად მოიხსენიებოდა.

კრიტიკოსები გიორგი ერისთავისადმი კრიტიკას არ იშურებდნენ, მათ შორის ცნობილი ადამიანებიც – დარეჯან ბატონიშვილი და პლატონ იოსელიანი. მიუხედავად ამისა, გიორგი ერისთავი დიდი ენთუზიაზმით ცდილობდა დასახული მიზნის მიღწევას, შეძლო კიდეც, თუმცა ბევრი გულისტკენაც მიიღო. კრიტიკოსების გვერდით იყო ის საზოგადოებაც, რომელიც ქართულ თეატრალურ აფიშებს აბრეშუმზე ბეჭდავდა, რაც დიდი ესთეტიკისა და გემოვნების მაჩვენებელი იყო. მათ კარგად ესმოდათ, რომ ხელოვნება იაფფასიანი არ შეიძლება იყოს. ამაში მართლაც დარწმუნდებით, როცა პირველ ქართულ აფიშებს ნახავთ. დარწმუნებული ვარ ყველას აინტერესებს, თუ რა იყო გამოსახული პირველ ქართულ თეატრალურ ფარდაზე. *„ჩვენთან ინახება ყველა თეატრალური ფარდა, მათ შორის გაგარინის მიერ შექმნილი, ასევე ალექსანდრე ბერიძის, სერგო ქობულაძისა და სხვათა ფარდების ესკიზები. რაც შეეხება პირველ ქართულ თეატრალურ ფარდას, ეს გახლდათ გაგარინის მიერ შესრულებული ხელოვნების ნიმუში, რომელზეც გამოსახულია რუსეთი და საქართველო. საქართველოს მხარეს კავკასიონი და ქართული ეკლესია-მონასტრები ჩანს, ხოლო რუსეთის მხარეს – კრემლი და ა.შ. ეს ჩვენი ისტორიაა...“* – ამბობს გიორგი კალანდია.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის უცნობი დეტალები, რომლებიც გიორგი და დავით ერისთავებს უკავშირდება. ალბათ, ცოტამ თუ იცის იმის შესახებ, რომ გიორგი ერისთავმა პიესად აქცია და პოლონურ ენაზე თარგმნა ქართველებისთვის საამაყო „ვეფხისტყაოსანი“, შემდეგ პიესა გადმოაქართულა და ხუთმოქმედებიანი დრამის სცენაზე დადგმაც ჩაიფიქრა. სამწუხაროდ, სრულყოფილი სახით არ განხორციელდა, მაგრამ მოგვიანებით სამმოქმედებიანი სპექტაკლი ქართულ სცენაზე დაიდგა; ან თუნდაც ის ფაქტი, რომ როცა დავით ერისთავმა სპექტაკლი „სამშობლო“ წარმოადგინა, ხალხმა ხელში აყვანილი დრამატურგი ქალაქის მოედნებზე შემოატარა და საჩუქრად აბრეშუმზე შესრულებული დაფნის გვირგვინში ჩასმული აფიშა – „სამშობლო“ აჩუქა, რომლის ნახვაც დამთვალიერებელს ამ გამოფენაზე შეუძლია.

თუ დაინტერესდებით იმასაც ნახავთ, როგორ გამოიყურებოდა დამწვარი ქართული თეატრის 900-კილოგრამიანი ჭაღი, რომელიც, ვორონცოვის ბრძანებით, თამამშევის თეატრისთვის მარსელიდან ჩამოიტანეს. ჭაღი თურმე გზაში დაიფშვნა და ხელმეორედ შეიძინეს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია უნიკალური ფოტო (რომელიც მხოლოდ ამ მუზეუმში ინახება) – ვორონცოვის მიერ ხელმოწერილი პროექტი, სადაც ჭაღი ჩანს.

გამოფენაზე არა მარტო თეატრის ისტორიის ამსახველი ნივთები გამოიფინა, არამედ ერისთავების პირადი, მემორიალური ნივთებიც. გამოფენამდე ცოტა ხნით ადრე გიორგი და დავით ერისთავების შთამომავალმა, **მანანა ერისთავმა** მუზეუმს უნიკალური საგანძური გადასცა. კოლექცია ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიისთვის უძვირფასეს ნივთებს შეიცავს – ცნობილი დრამატურგის, პოეტის და საზოგადო მოღვაწის გიორგი ერისთავის საწერი მაგიდის გარნიტური, რომელიც შეძენილია ვარშავაში, მეფის რუსეთის შეთქმულებაში მხილებისთვის პოლონეთში გადასახლებაში მყოფი პოეტის მიერ, დაახლოებით, 1834 წელს. ეს ნივთები, შეძენის დღიდან, მასთან განუყრელი ყოფილა. ქართველმა საზოგადოებამ გიორგი ერისთავის საწერი მაგიდის მოწყობილობა სწორედ ამ ექსპოზიციაზე იხილა. კოლექცია მოიცავს, აგრეთვე ქსნის ერისთავთა საბეჭდ ძველ საგვარეულო გერბსაც და ქართველი მწერლისა და დრამატურგის დავით ერისთავის ნივთებსაც. გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი სწორედ ამ კოლექციას ეჭირა – ფრანგული პალიტრა დავით ერისთავის მეუღლის მარიამ სარაჯიშვილის გამოსახულებით, რომლის დამზადებაც მეუღლემ პარიზში შეუკვეთა; ასევე, უნიკალურია ლორდ ბაირონის, ვიქტორ ჰიუგოსა და ალექსანდრე დიუმას ძვირფასი გამოცემები დავით ერისთავის ბიბლიოთეკიდან; საიმპერატორო ქარხანაში დამზადებული სარაჯიშვილების ჭურჭელი, ალბომის მომინანქრებული დეტალები... განსაკუთრებული მემორიალური მნიშვნელობა ენიჭება ხელნაწერებს, მათ შორის დავით ერისთავის სატიტულო ფურცელს, მის სავიზიტო ბარათს, ელენე ერისთავის მოგონებების დღიურს და ა.შ.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, ქალბატონმა **ინგა ქარაიამ** გამოფენას კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციაც მიანიჭა: *„გამოფენაზე წარმოდგენილია ძალიან ბევრი დოკუმენტური მასალა, რომელიც აქამდე დამთვალიერებელს არ უნახავს. დარწმუნებული ვარ, ეს მასალა დიდ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ თეატრალებს, არამედ ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ქართული კულტურის, კერძოდ, თეატრალური კულტურის ისტორია და მომავალი ფასდაუდებელია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მუზეუმის დირექტორს გიორგი კალანდიას და მუზეუმის თანამშრომლებს იმისთვის, რომ ძალისხმევას არ იშურებენ, რათა მუზეუმის საქმიანობა ქმედითი გახადონ და მუდმივად ახალ-ახალი ექსპოზიციები შემოგვთავაზონ.“*

გიორგი ერისთავის საიუბილეოდ გიორგი კალანდიამ ქართველ რეჟისორებს შესთავაზა პროექტი, გაეკეთებინათ ჩანაწერები: რას ეტყოდნენ ისინი გიორგი ერისთავს, ცოცხალი რომ იყოს. გამოფენაზე ერთი კუთხე სწორედ ამ ჩანაწერებს დაეთმო. **ლევან წულაძე** თავის წერილში დიდ მადლობას უხდის გიორგი ერისთავს და მისთვის დამახასიათებელი კეთილგანწყობით გამოირჩევა: *„ბედნიერი ვარ და სევდიანი, ღიმილი მიპყრობს. ძნელია ხმამაღლა საუბარი და თუნდაც ქაღალდის სუფთა ფურცელზე იმ შეგრძნებების გადატანა და გახმაურება, რაც წლების განმავლობაში გამოც-*

დილებად გადამექცა...

ალბათ, მაღალფარდოვანი და აკადემიურია გამოთქმა ქართული თეატრის დამფუძნებელი და კომედიოგრაფი გიორგი ერისთავი. ვისთვის როგორ. ბატონი გიორგი ერისთავი... გიორგი ერისთავი... ერისთავი... მართლაც და ქართული თეატრალური ერის თავად წოდებული. დღესდღეობით, როდესაც ქართული პროფესიული თეატრის დაარსებაზე ვსაუბრობთ. ყოველივე თანამდევი მოვლენა ამ პროცესისა ცოტა ისტორიულ წარსულად და ფაქტად გვეჩვენება. სინამდვილეში კი მე გულწრფელი მადლობა მინდა მივუძღვნა იმ პიროვნებებს, რომლებიც დინების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, შექმნეს და გაკვალეს ახალი გზა, აღმოაჩინეს ახალი, ყველასთვის გასაგები და რთული მისაღები ენა კომედიისა. კომედია, რომელიც გამხელს; კომედია, რომელიც გართობს; კომედია, რომელიც გაფიქრებს; კომედია, რომელიც სევდას გგვრის; კომედია, რომელიც სილას გაწნავს და სამაგიეროს გადახდის სურვილს გიკარგავს – მომლიმარს გტოვებს.

ბატონო გიორგი, დიდი მადლობა!“

რეჟისორი **გორა კაპანაძე** კი გიორგი ერისთავს ერთი „ჟალობით“ მიმართავს: *„კნიაზ, უკაცრავად გახლავართ, მაგრამ ერთი პატარა ჟალობით უნდა მოგმართოთ და არ გამიბრაზდეთ. აბა, ყური მაიტათ. თქვენ თუ გგონიათ, რომ აის მაზალო ტიპები სამზეოზე რომ გამოიყვანეთ და გაამათრახეთ გაქრნენ უჩინმაჩინის ქუდივითა და თავის ცოდვებითა, ცოცხლები არიან ჩემმა მზემან. იმათ ხომ მხოლოდ სახელები შეიცვალეს. რა ვრაცუებიც, ბედოვლათებიც და ქარაქუცებიც იყვნენ, ისეთები დარჩნენ, ოღონდ ფულის მიმართა უკვე სხვა ყაირათი და მიხვედრილობა გაუჩნდათ, შენზე მეტადა...“* – სამწუხაროა, რომ ძალიან დიდი ხნის წინ დაწერილი „გაყრის“ ეპილოგი დღესაც აქტუალური რჩება და რადგანაც *„ვერ გავნდევნეთ ჩვენში ცუდი!!!“*, კიდევ ერთხელ გავიხსენებ გიორგი ერისთავის ფრაზას: *„მე დავწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრუდი. ჩვენც ვეცადნეთ და განვდევნეთ, რაცა არის ჩვენში ცუდი“*. გაცოცხლებულ ორსაუკუნოვან ისტორიას ქართველი რეჟისორები დღევანდელი გადმოსახედით გამოეხმაურნენ.

განსაკუთრებული გულისტკივილი კი დღევანდელი რეალობიდან ის გახლავთ, რომ ქართველებს გიორგი ერისთავის საფლავზე მისვლა არ შეგვიძლია, რადგან მისი განსასვენებელი სოფელ იკორთაში, 2008 წლის შემდეგ, რუსული ოკუპაციის ზონაში მოექცა. გიორგი კალანდიამ იქ მისული ქართველი საზოგადოება ასე გაამხნევა: *„ეს გამთბარი გულები და ხმა აუცილებლად მისწვდებოდა იკორთის ტაძარს, სადაც გიორგი ერისთავი განისვენებს. სამწუხაროა, რომ დღეს მის საფლავთან ვერ მივდივართ, მაგრამ აუცილებლად დადგება დრო, როცა იკორთაში მივალთ და ღირსეულად სანთელს ავანთებთ, აუცილებლად დადგება ის დროც, როცა აფხაზეთის ქართულ თეატრში გიორგი ერისთავის პიესებს ითამაშებენ. მანამ კი, კიდევ ერთხელ გილოცავთ დიდი თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის – გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილეს, რომელმაც საფუძველი დაუდო ქართულ თეატრს, როგორც ქართველი კაცის გენიის ერთ-ერთ განსახიერებას“.*

ამ მართლაც არაჩვეულებრივმა და უნიკალურმა გამოფენამ საოცარი ემოცია გამოიწვია, ევროპაში ძალიან მიღებული, ხოლო ქართულ რეალობაში იშვიათი ფორმის – სპექტაკლ-გამოფენამ ყოველგვარ თეატრალურ მოლოდინს გადააჭარბა.

ექსპოზიცია დამთვალიერებელს ერთი თვის განმავლობაში ელის.

ინტეგრირებული გაკვეთილი

კომპლექსური ხედვის ჩამოსაყალიბებლად

სიტყვა ინტეგრაცია (INTEGER) ლათინურიდან მომდინარეობს და ნაწილის ერთ მთლიანობაში გაერთიანებას ნიშნავს. საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირება საგანთა გაერთიანებას, ანუ კომპლექსს გულისხმობს. ინტეგრირებული გაკვეთილის მთავარი მიზანია კომპლექსური ხედვის ჩამოყალიბება, რომლის მისაღწევად გამოყენებული უნდა იყოს სხვადასხვა სასკოლო დისციპლინებში მიღებული ცოდნა.

ისე როგორც სხვა ჩვეულებრივი გაკვეთილი, ინტეგრირებული გაკვეთილიც იგეგმება სამი ფაზის გათვალისწინებით: გამოწვევა, შინაარსის რეალიზება, ანუ ცოდნის კონსტრუირება და რეფლექსია.

მინდა კოლეგებს გავაცნო ჩემ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ერთ-ერთი ინტეგრირებული გაკვეთილი.

გაკვეთილის თემა – რად მისპოგ ლამაზ სიცოცხლეს?

აღნიშნული გაკვეთილის თემა გათვალისწინებულია პირველი საფეხურის – კერძოდ, მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვის ბუნებისმეტყველებაში, რომელიც ინტეგრირებულია ქართულთან და ხელოვნებასთან ისტ-ის გამოყენებით.

გამოწვევის ფაზაზე პროვოცირებისა და ინტერესის გაღვივების მიზნით, გაკვეთილი იწყება მოსწავლის მიერ ბუნებაში გადაღებული ლამაზი ფოტოების ჩვენებით (გამოყენებულია ლეპტოპი) და გრძელდება მარტივი ფრონტალური კითხვებით, რაც ხელს უწყობს არსებული ცოდნის გამოვლენას და განსახილველი თემისთვის შემზადებას; მოსწავლეებს ემატებათ თვითდაჯერებულობა.

ცოდნის კონსტრუირების ფაზაზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნების მიზნით გაკვეთილი გრძელდება მცირე ლექციური კურსით, რომელშიც ისტ-ის საშუალებით ჩართულია იმავე მოსწავლის მიერ წინასწარ მომზადებული ჩვენი სოფლის დანაგვიანებული ტერიტორიების ამსახველი სლაიდ-შოუ. ლექციური კურსის მოსმენისა და სლაიდ-შოუს ნახვის შედეგად მოსწავლეები მიზანდასახულად აკავშირებენ ახალ და ცნობილ ინფორმაციას. ისმის შინაარსიდან გამომდინარე კითხვები, რითაც კონტროლდება მოსწავლეთა აღქმის უნარი. შემდეგი აქტივობა წარმოაჩენს პოეტის მხატვრულ წარმოსახვაში ასახულ ბუნების სილამაზესა და გასაჭირს (მოსწავლეები კითხულობენ თემატიკასთან დაკავშირებულ ლექსებს). ლექსების კითხვისას ინტონაციით გამოხატავენ ტექსტში ასახულ ემოციებს, იაზრებენ წაკითხული ლექსის შინაარსს, ამოიცნობენ მთავარ სათქმელს.

წყვილებში სრულდება აქტივობა „ფრთხილად, პოლიეთილენია!“ (მოსწავლეები ეცდებიან ქორფა ბალახისგან გამოარჩიონ მასში შერეული წითელი და მწვანე პოლიეთილენის ძაფები). ამ აქტივობიდან გამოაქვთ დასკვნა, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ბუნებაში დაყრილ პოლიეთილენის პარკებს ცხოველებისთვის (მწვანე ფერის პარკი შეიძლება ცხოველმა ვერ გაარჩიოს ბალახისგან და შეჭამოს, რაც მისთვის დამღუპველია). ამ ფაზაზე ხელი ეწყობა დისკუსიის წარმართვას, რომელიც „წითელ წიგნში“ შეტანილი სახეობების დაცვისა და გამრავლების შესახებ იმართება. მოსწავლეები არცხვენენ ბრაკონიერებს; მიდიან დასკვნამდე, რომ ბუნების დაცვა აუცილებელია. ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს აქტივობები – „უნარჩენო წარმოება“ და „ჩემი საკლასო ოთახი დაცული ტერიტორიაა“. პირველ შემთხვევაში მოსწავლეები ერთჯერადი ბოთლისგან აკეთებენ ორიგინალურ ქოთანს და შიგ რგავენ ყვავილს, მეორე შემთხვევაში ხატავენ პანდას (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ემბლემას) და აკრავენ საკლასო ოთახში. პირველ აქტივობაში მეორადი რესურსით ქმნიან ახალ პროდუქციას და იყენებენ მას, ამცირებენ გარემოს დაჭუჭყიანების რისკს. მეორეში – ერთვებიან ერთობლივი ნამუშევრის შექმნაში. აქტივობების დასრულების შემდეგ მოსწავლეები ალაგებენ სამუშაო მაგიდას, ნარჩენებს ათავსებენ ურნაში.

ცოდნის კონსტრუირების ფაზაზე გამოიკვეთება ძირითადი კითხვა – როგორ ვაცოცხლოთ სამყარო?

რეფლექსია-გამთლიანების ფაზაზე მოსწავლეები წერილს სწერენ თანასოფლელებს, სადაც აყალიბებენ საკუთარ პოზიციას, საკუთარ დამოკიდებულებებს არსებული პრობლემის მიმართ; ახერხებენ საზოგადოების ინფორმირებას მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ. დასკვნით აქტივობაში მოსწავლეები ერთ მთლიანობაში იაზრებენ მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებს და თემას კრავენ პლაკატით „ვაცოცხლოთ სამყარო!“. ისინი შეიმუშავებენ ბუნებასთან ურთიერთობის საკუთარ წესებს და პუნქტებად ჩამოწერენ, აკეთებენ სიმბოლურ ხელწერებს. იმართება პრეზენტაცია.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება – ზაფხულში შეაგროვონ ნესვის, საზამთროს, გოგრის და ა. შ. თესლები ზამთარში ფრინველების გამოსაკვებად.

დასასრულ რიგდება თვითშეფასების კითხვარები და ხდება გაკვეთილის საბოლოო შეფასება.

ძირითადი სასწავლო რესურსები:

ციფრული ფოტოაპარატი, ლეპტოპი, მარკერები, A4 ფურცლები, ფლიპჩარტი, ავტოკალმები, მწვანე ბალახი, სხვადასხვა ფერის პოლიეთილენის ძაფები, ერთჯერადი ბოთლი, მაკრატელი, ლურსმანი, ჩაქუჩი, ჭიკარტი, ფოლგა, ნიადაგი, ბალბის ახალგაზრდა ტოტი.

ესგ-ით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგები

გუნებისმეტყველებაში:

ბუნ. IV.9. მოსწავლეს შეუძლია საზოგადოებრივი ჰიგიენის წესების დაცვა.

– ზრუნავს საკლასო ოთახის და საცხოვრებელი ადგილის სისუფთავეზე.

ბუნ. IV.11. მოსწავლეს შეუძლია გარემოზე ზრუნვის ელემენტარული წესების დაცვა.

– იცავს ბუნებაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების წესს.

ქართულში:

ქართ. IV.2. მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ნაწარმოების მიმართ.

– გამოხატავს საკუთარ ემოციებს/განცდებს და ცდილობს მათ ახსნას.

ქართ. IV.3. მოსწავლეს შეუძლია მიუსადაგოს სამეტყველო ქცევა დასახულ საკომუნიკაციო ამოცანას.

– ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;

– მეტყველებს გარკვევით და მკაფიოდ.

ქართ. IV.11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა

– ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების საფუძველზე წერს მცირე ზომის ტექსტებს;

– წერს წერილს რეალურ ადრესატს.

ხელოვნებაში:

ს.გ. IV.1. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები ნამუშევრის შექმნისას

ს.გ. IV.2. მოსწავლე მიმართავს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას;

– დეკორატიულ და გამოყენებით ნამუშევრებს სხვადასხვა მასალით (ქსოვილი, მუყაო, მავთული, მეორადი რესურსები).

ს.გ. IV.5. მოსწავლე სხვადასხვა მასალით ამზადებს ჩარჩოებს, ქოთნებს, თასებს, ფიალებს, წნავს კალათებს.

ს.გ. IV.6. მოსწავლე მონაწილეობს გუნდურ სამუშაოებში;

– მოსწავლე ჩართულია ერთობლივი მხატვრული ნამუშევრის შექმნის პროცესში, იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ხალისით ეხმარება თანაკლასელებს.

ს.გ. IV.12. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი სხვა საგნებში გავლილ მასალასთან.

ისტ-ში:

– მოსწავლეები იუმჯობესებენ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს;

– იყენებენ ისტ-ის მოწყობილობებს და ისტ-ის ინფორმაციულ რესურსებს \მაგ. ვიზუალური მასალა\ მოვლენების თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით.

ქეთევან მამალაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხევის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სერტიფიცირებული პედაგოგი

„არასდროს მივატოვებ დაცემულ ჯარისკაცს“

ეს სიტყვები იმ სერტიფიკატის დევიზია, **ზურაბ ბეგიაშვილის** რომ გადასცეს კრწანისის საწვრთნელ ბაზაზე ექიმის კურსების გავლის შემდეგ...

2008 წლის აგვისტოს ქარცეცხლიანი დღეები, რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომი, დაღუპული ჯარისკაცები, ლტოლვილად ქცეული სამაჩაბლო და გმირებად გამორჩეული ბიჭები. მათ შორის ერთი კი სწორედ ის ზურაბ ბეგიაშვილია, მისთვის გადაცემული სერტიფიკატის დევიზს რომ არ უღალატა და დაცემულ ჯარისკაცებთან ერთად დაასრულა სიცოცხლე.

დიდი მიზნების მქონე, გულისხმიერი, მხიარული, მოხდენილი ზურა სოფელ კუმისში დაიბადა. ბავშვობიდანვე გამორჩეული ყოფილა, თურმე ყველაფერი აინტერესებდა, ძალიან უყვარდა ბუნება, ხატავდა. ბევრს კითხულობდა, თავადაც წერდა პატარა მოთხრობებს და ოჯახის წევრებს აკითხებდა, უკრავდა გიტარაზე... რომანტიკული სულის ჭაბუკი იყო. ექიმობა გადაწყვიტა, პროფესიული მოვალეობის შესრულება კი სამხედრო საქმეს დაუკავშირა. როგორი გახარებული ყოფილა, როცა 42-ე ბატალიონის ექიმად დანიშვნის ბრძანება მოიტანა შინ. რა იცოდა, თუ საბედისწერო გახდებოდა მისთვის ეს სამსახური.

ზურას მეგობარი, ექთანი **ნანა ცხადაძე** ასე იხსენებს კოლეგას: *„არასოდეს დამავიწყდება მისი კეთილი სახე, ოცნება, რომელიც შეწყვეტილი სიმღერასავით შეწყდა. მტკივა, მისი აუხდენელი ოცნებები მტკივა. მესმის მისი აბობოქრებული სულის მღელვარება და ის დაუოკებელი სწრაფვა, რასაც სამშობლოს თავისუფლება ჰქვია“.*

„გმადლობ, გმადლობ, შვილო! სწორედ ასეთი მინდოდა ყოფილიყავი. მარადისობაში გადასულ ადამიანებზე, შენც იცი, ზურა, ძვირსა და აუგს აღარ ამბობენ. მაგრამ რასაც შენზე ჰყვებიან, როგორც შენ გიხსენებენ და გახასიათებენ შენი მეგობრები, თანამშრომლები, თანაკლასელები, თანასოფლელები, ხომ ყველა სიმართლეა. აბა, ვინ აიძულებთ, მოიგონონ ამბები. ამიტომ მიხარია, შვილო, რომ დარჩენილი სიცოცხლის შავი დღეები საამაყო გამიხადე, შენ შემოგევლოს დედა. კიდევ ერთხელ გმადლობ.“ – ეს ტკივილიანი სიტყვები კი ზურას დედას, ქალბატონ **ნელი ბეგიაშვილს** ეკუთვნის, რომელიც პედაგოგი გახლავთ და სოფელ კუმისის საჯარო სკოლაში გეოგრაფიას ასწავლის.

ზურა ახლა უფალთანაა, იმ ბიჭებთან ერთად მასავით ბრძოლის ველზე რომ დაეცნენ, კიდევ... შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ და იმ სკოლის ბინადარი გახდა, 1997 წელს რომ დაამთავრა თანაკლასელებთან ერთად. ზურა ცოცხალია, რადგან ყოველ დილით ესალმება ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის კუმისის საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეს. ბავშვებმა იციან, რომ ზურაც მათსავით ცელქი იყო, მათსავით დასდევდა ეზოში ბურთს, მათსავით აწიწკნიდა გოგონებს თმას და ალბათ, ზოგჯერ მასწავლებლებსაც აბრაზებდა... ისინი სიამაყით შესცქერიან გმირის ბიუსტს და წარწერას – *„ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის კუმისის საჯარო სკოლა“* – ყველა ხომ არ სწავლობს ისეთ სკოლაში, სადაც გმირები იზრდებიან? იციან ბავშვებმა, რომ დიდი ტკივილი არ ქრება და ამიტომაც მოწიწებით უახლოვდებიან გეოგრაფიის კაბინეტს, სადაც შავებში შემოსილი სუსტი ქალბატონი აჩქარებით ფურცლავს ჟურნალს.

...2013 წლის 11 ივნისი. უჩვეულო მღელვარება იგრძნობა სკოლის ეზოსა და დერეფანში. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ვაჟები ბოლთას სცემენ, გოგონები ღონისძიების ტექსტს იმეორებენ, მასწავლებლები სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახს აწესრიგებენ. სკოლის ეზოში თავდაცვის სამინისტროს ორკესტრი განლაგდა და მალე ძვირფასი სტუმრებიც გამოჩნდნენ, ბავშვებს თვალები უფართოვდებათ. აი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი **გიორგი მარგველაშვილი** და თავდაცვისა და უშიშროების მინისტრი, ბატონი **ირაკლი ალასანია**.

– ნახე, მოვიდნენ! – ისმის ჩურჩული ეზოში და ბატონი ალასანიას მართლაც სულის შემძვრელი სიტყვები: *„ამ ბავშვებს თვალებში ეტყობათ, რომ გმირებად გაიზრდებიან“.*

მისალმების შემდეგ სტუმრები დარბაზში შებრძანდებიან და კიდევ ერთხელ ისმენენ მოსწავლეების მიერ გაცოცხლებულ ისტორიას აგვისტოს ომისა. ამ ომის ერთი გმირი ზურაბ ბეგიაშვილი კი დღეს ყველას მასპინძელია. დღეს კუმისის საჯარო სკოლას ზურას სახელი მიენიჭა და საპატიო სტუმრებიც სწორედ ამ მიზეზით ეწვივნენ სოფელს. მართლაც ამაღელვებელი წამებია ალბათ, საუკეთესო ოპერატორსაც გაუჭირდება ფირზე აღბეჭდოს დედის ცრემლიანი თვალები, სტუმრების სევდიანი სახეები, ბავშვების გაოცებული მზერა და შეკრებილი საზოგადოების გულისტკივილი.

„დიდი მადლობა თქვენ, განათლებისა და თავდაცვის სამინისტროების მესვეურნო, სკოლის დირექციის თხოვნა რომ გულთან მიიტანეთ და უფლება მოგვეცით ზურაბ ბეგიაშვილის სახელი გვეწოდებინა კუმისის საჯარო სკოლისათვის,“ – აცხადებს სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ლელა ქობულაძე** და უღრმეს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებაში.

ჯორდანო ბრუნომ თქვა: *„ერთ საუკუნეში გმირული სიკვდილი ადამიანს ასაჩუქრებს სიცოცხლით ყველა მომდევნო საუკუნეში“.*

ჩვენ გვჯერა, რომ ზურას სახელი კუმისის ახალგაზრდობას მარადიულად ემახსოვრება. იგი ხომ 28 წლის ღიმილის ბიჭად დარჩა, რომელმაც თავისი სიცოცხლის მოკლე დროში შეძლო ეცხოვრა გმირულად და ისე უხმაუროდ წასულიყო წუთისოფლიდან, როგორც მხოლოდ დიდბუნებოვან და ძლიერი სულის ადამიანებს ძალუძთ.

ინგა ჯავახიშვილი
ზურაბ ბეგიაშვილის სახელობის სსიპ სოფელ კუმისის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

P.S. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ზურაბ ბეგიაშვილი, სიკვდილის შემდეგ, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

ანზორ მარტყოფლიშვილის სახელობის ტურნირი

ღვინობისთვეში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენის კავალერის, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის ანზორ მარტყოფლიშვილის ტრადიციული XII ტურნირი ჭიდაობა „ძიუდოში“ 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის.

შეჯიბრი ჩატარდა პირად პირველობაში ძიუდოს საერთაშორისო წესების მიხედვით 7 წონით კატეგორიაში და მონაწილეობდა თბილისის ორი და 9 მუნიციპალიტეტის – დედოფლისწყაროს, სიღნაღის, თელავის, ქარელის, ახმეტის, ყვარლის, საგარეჯოს და ლაგოდეხის გუნდები. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდნენ მწვრთნელების – **კახა წიკლაურის, ბორის გულიაშვილის, ვაჟა მოსულიშვილის, ზვიად პატაშურის** მოჭიდავეები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს ტურნირი.

პირად პირველობაში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

I ადგილი – **ვაჟა ბუბუნაური** – სოფელი ქვემოქედი (46 კგ.);
IIადგილი – **ლაშა ბექაური** – სოფელი ზემოქედი (46 კგ.);
III ადგილზე გავიდნენ:
ნიკა კობაიძე – სოფელი არხილოსკალო (50 კგ);
გიორგი წიკლაური – სოფელი არხილოსკალო (55 კგ.);
ნიკა ზვიადაური – სოფელი არხილოსკალო (55 კგ.);
ბექა გაგაძე – სოფელი არხილოსკალო (60 კგ.);
გიორგი გუგენიშვილი – სოფელი არხილოსკალო (73 კგ.).

გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა:

❖ შვიდი საპრიზო ადგილით და 29,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდი;

❖ ხუთი საპრიზო ადგილით და 24 ქულით მეორე ადგილი დაიკავა ახმეტის გუნდმა;

❖ ოთხი საპრიზო ადგილით და 19 ქულით მესამე ადგილზე გავიდა საგარეჯოს გუნდი, ხოლო მეოთხე ადგილი წილად ხვდა ყვარლის გუნდს 4 საპრიზო ადგილითა და 17,5 ქულით.

ტურნირს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, საქართველოს ძიუდოს ნაკრების მწვრთნელები: **ირაკლი უზნაძე, თამაზ კარიაული, დავით ასუმბანი, ჯემალ ნათელაშვილი**, ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი **ირაკლი შიოლაშვილი** და სიღნაღის რწმუნებული **რევაზ პოპიაშვილი**, სოფელ ზემომაჩხაანის რწმუნებული **გია იაკობიშვილი**, დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი **ნინო ბახუტაშვილი**.

ტურნირის მსვლელობას თავად **ანზორ მარტყოფლიშვილი** ხელმძღვანელობდა, ძიუდოს მწვრთნელ **ვაჟა მოსულიშვილთან** და **მამუკა ალადაშვილთან** ერთად.

მარიკა პოპიაშვილი

რეგიონებში სამუშაო შეხვედრები გრძელდება

საქართველოს განათლებისა და მენეჯერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, ამჯერად, ქვემო ქართლის რეგიონის საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებს გააცნეს. სამუშაო შეხვედრები მარნეულსა და რუსთავში გაიმართა.

პრეზენტაცია მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა:

❖ განათლების ხელმისაწვდომობა;
❖ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა;
❖ სკოლების დაფინანსება და ანაზღაურების სისტემის ცვლილება;
❖ პედაგოგების პროფესიული განვითარება;
❖ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსი;
❖ უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლა;
❖ ელექტრონული სასწავლო რესურსები და ტექნოლოგიები;
❖ სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სხვ.

წარმოდგენილი იყო ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულებით განხორციელებული სიახლეები.

სამუშაო შეხვედრა, რამდენიმე საათის განმავლობაში, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. რეგიონის საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებმა ყველა კითხვაზე მიიღეს პასუხი. მათ, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები გამოეთქვათ. ანალოგიური შეხვედრები ყველა რეგიონში გაიმართება.

3 წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. ხილ-ბოსტნეული
8. ტანსაცმელი
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ზღვის ბინადრები
12. ინგლისური ანბანი
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური საკრავები
4. ძვეწარმავლები საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუნთოვანი სისტემა
7. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
8. ძველი რომი
9. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამყაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჩულე
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით ალმაშენებელი
25. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მიმდინარეობს ტომის ფასი – 12 ლარი

- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნის თარო

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი.

სიახლე



ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წიგნში ახლებური ფორმითაა წარმოდგენილი – მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, შერწყმული და ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან, რაც ახალგაზრდა მკითხველს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმასა და გაგებას.

ფასი – 4 ლარი.

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

თამაზ ვასაძე

9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი



მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VII ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK